სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N31 (9247) 10 ნოემბერი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

მესამე მოწვევის საკრებულოს უკვე გარდასულ ქრონიკებზე

ვინ ხმაურობდა და ვინ "იჯდა რადიატორთან"

ზემაჯამებელ ოქმს ხელი მოეწერა

2

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახლადარჩეულ წევრებს მოწმობები გადაეცათ

ჟურნალისტები აზიური მავნებლის წინააღმდეგ

5

"თქვენა ხართ ქრისტეს ლაშქარი, საპატრიარქო ტახტის მცველი მხედრობა"

"თორემ მე წავალ, მელოდება მთების ხანძარი"





სად არის ინიციატივა, სად არიან ინიციატორები?

4

10

ეს სტროფი ახლა მაწვება სულზე

ევროპის "ვარკვლავურ გზაზე"

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახლადარჩეულ წევრებს მოწმობები გადაეცათ

ნინო ნანიტაშვილი

54-ე სამტრედიის საოლქო-საარჩევნო კომისიის შენობის წინ 6 ნოემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებულმა სუბიექტებმა შეკრება დაიწყეს. პირველები პარტია ''ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს'' წარმომადგენლები მივიდნენ. მოგვიანებით დაფიქსირდნენ ''პატრიოტთა ალიანსიდან'' კამო კანდელაკი და ''ევროპული საქართველოდან'' ალექსანდრე ჯვარშეიშვილი.

ოფისში შესულებს 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ეგებებოდა. ნანა იმნაძემ მისალმების შემდეგ ყველა მათგანს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

6 ნოემბრის შეხვედრას 21 ახლადარჩეული წევრი წინასწარი გაფრთხილების მიუხედავად საკუთარი მოწმობების მისაღებად ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' პარტიული სიით არჩეული საკრებულოს არც ერთი წევრი არ გამოცხადდა.

რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობად შეაფასა და თავის მხრივ მადლობა გადაუხადა 54-ე საოლქო საარჩევნო კომისიას გაწეული მუშაობისათვის საკრებულოს ახლადარჩეულმა წევრმა, ლიზა კრავეიშვილმა.

2017-2021 წლების მოწვევის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ძირითადად ძველი სახეები შენარჩუნდება, 33 წევრთა შორის ახალი სახეებია: ნონა გოგისვანიძე, ბაია იმესაშვილი, ლაშა რუსია, გოჩა არველაძე, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ალექსანდრე ჯვარშეიშვილი, კამო კანდელაკი.

შეგახსენებთ, რომ ახლადარჩეული მერის უფლებამოსილება ძალაში შედის 12 ნოემბერს. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საარჩევნო კოდექსის თანახმად პირველ სხდომას მოიწვევს ცესკო, ხოლო გახსნის, 54-ე სამტრედიის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ნანა იმნაძე. ამის შემდეგ ახლადარჩეული საკრებულოს წევრების უფლებამოსილება ძალაში შედის.

შემაჯამებელ ოქმს ხელი მოეწერა

ნინო ნანიტაშვილი

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა 1 ნოემბერს ხელი მოაწერეს კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელ შემაჯამებელ ოქმს. კომისიის თავმჯდომარემ, ნანა იმნაძემ სხდომა გახსნა, კომისიის წევრებს დღის წესრიგი გააცნო, იქვე მდივანს დაავალა, შემაჯამებელ ოქმში შეტანილი ყველა მონაცემი კომისიის წევრებისათვის გაეცნო.

მარიკა ბოკელავაძემ თანმიმდევრობით წაიკითხა მერის, პროპორციულის და მაჟორიტარულის შემაჯამებელი ოქმების მონაცემები.

54-ე სამტრედიის საარჩევნო ოლქში საერთო ამომრჩეველთა რაოდენობა 46 217-ია. 21 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობამ 22 118 შეადგინა, მოსულ ამომრჩეველთა 48,4 პროცენტი.

მერის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიღებული ხმები კი ასე გადანაწილდა: ''ევროპული საქართველო'' ავთანდილ სტურუა _ 3787, რაც მიღებული ხმების 13%-ია. ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' მამუკა ბიბილეიშვილი _ 4 882 ხმა, მიღებული ხმების 23%-ი. ''პატრიოტთა ალიანსი'' კამო კანდელაკი _ 702 ხმა, მოსული ამომრჩევლის 3 %-ია, ''ლეიბორისტული პარტია'' გიორგი ჯიმშელეიშვილი _ 280 ხმა, რაც მოსული ამომრჩეველთა ხმის 1%-ია, ''შენების მოძრაობა'' იმედა გოგავა _ 608 ხმა, მოსული ამომრჩეველის 3%-ი. ვალერიანე ფოცხვერია ''ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო'' მიღებული ხმების რაოდენობა 11 684, ამომრჩეველთა 56%-ი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად მანდატთა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: პარტია ''ევროპულმა საქართველომ'' მიიღო ამომრჩეველთა 2 403 ხმა, ამ მონაცემებით _ 2 მანდატი. პარტია ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' _ 7 734 ხმა, 4 მანდატი. ''პატრიოტთა ალიანსი'' მიღებული ხმები 902-ია, შედეგად ერთი მანდატი, ხოლო ''ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო'' მიღებულმა ხმებმა 10 919 შეადგინა, მათ 8 მანდატი ერგოთ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 18 ერთმანდატიანი ოლქია. ამდენად, კენჭისყრის დღეს 18 გამარჯვებული მაჟორიტარი უნდა გამოვლინა. საერთო ჯამში 103 მაჟორიტარ-კანდიდატი დარეგისტრირდა სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტებისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილნი. გამარჯვებული 18-ვე ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში საარჩევნო სუბიექტ ''ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს'' მიერ წარდგენილი მაჟორიტარ-კანდიდატებია: ვახტანგ დუნდუა, კობა ძიძიგური, ზაზა ადეიშვილი, ლაშა რუსია, გოჩა არველაძე, კოტე ნაცვლიშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, მერაბ უღრელიძე, ვაჟა სტურუა, გიორგი ლეჟავა, რაჟდენ ტორონჯაძე, დავით ამაღლობელი, ბადრი შენგელია, ვაჟა კოხრეიძე, ხვიჩა ფანცულაია, ტარიელ თევზაძე, ილია მჟავია. პარტიული სიით ''ქართულმა ოცნებამ'' 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგად მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიყვანა: ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი, ნონა გოგისვანიძე, შალვა არზუმანიანი, ლიზა კრავეიშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე, მანანა სირბილაძე და გრიგოლ დარჯანია.

შემაჯამებელი ოქმის შედგენიდან მე-11 დღეს, 12 ნოემბერს, ახლად არჩეული მერის უფლებამოსილება ძალაში შედის. ახალი საკრებულოს შეკრების პირველი სხდომის დღეს, კენჭისყრის დღიდან 30 დღის ვადაში, ცესკოს თავმჯდომარე ნიშნავს. პირველი სხდომის შემდეგ ახლადარჩეული მაჟორიტარების უფლებამოსილება იწყება.

კედელზე გაკრული არჩევნები

თეა ბაბუნაშვილი

არჩევნები ნაარჩევნებს არა მხოლოდ ხელისუფლებაში მოსულთა ყოველდღიური საქმიანობით, იმ პლაკატებითაც არ ''მოგვანატრებს'' თავს, წინასაარჩევნოდ რომ ააჭრელეს ქუჩები, კედლები, ფასადები... ააჭრელეს და ააჭრელეს! მეტიც, წინა არჩევნებისას გაკრული, ზოგიერთი კანდიდატის ოთხი წლის წინანდელი პლაკატი, ახალს ''ძველ ადგილზე'' დახვდა. ადმინისტრაციული სახლის კედელს შემორჩენილი ''კმარა შევარდნაძე'', კვლავაც მედგრად უძლებს იმ დროიდან მოყოლებულ და იმ კედელივით შელანძღულ პოლიტიკურ რქაგრეხილებს.

არა, თუ არჩევნებჩავლილი სამტრედიისთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, ან ქალაქის ხედებს ორიგინალურობას ჰმატებს ბოძებს შემოხვეული პოლიტიკა, ბოდიში შეწუხებისთვის, ბატონებო! თუ არადა, ხომ არ დადგა, თანაც კარგა ხანია, დრო, თითოეულმა კანდიდატმა და პოლიტიკურმა ძალამ საკუთარი მოწოდებისა და თხოვნა-მოთხოვნისგან _ ''ხმა მომეცით'', მომავალ არჩევნებამდე ''დაასვენოს'' ამომრჩეველი?!

სახსოვარ ფოტოსურათად კედელზე გაკრული არჩევნები დაუტოვა არჩევნებმა ამომრჩეველს.

ფერადოვნება გემოვნებასა და პოლიტიკაში ჯერ ისევ პლაკატ-პლაკატ შემორჩენია ქალაქს. როდემდე? მირზა გელოვანის მოტივებზე რომ ვთქვათ, ოღონდ მოსვლამდე, ოღონდ ჩამოხსნამდე, ''როგორც გაზაფხულს ელიან მთაში'', საარჩევნო რეკლამები თავიანთ ჩამომხსნელს ელოდებიან.

მესამე მოწვევის საკრებულოს უკვე გარდასულ ქრონიკებზე
ვინ ხმაურობდა და ვინ "იჯდა რადიატორთან"

თეა ბაბუნაშვილი

სანამ ის სხდომა ჩატარდებოდა, ახალადარჩეულ შემადგენლობას ლეგიტიმაციას რომ მისცემს, მესამე მოწვევის საკრებულომ კიდევ ერთი რიგითი შეკრება მოასწრო. არცთუ მნიშვნელოვნად, მაგრამ ახალ შემადგენლობაში, ბუნებრივია, უმრავლესობაცა და უმცირესობაც ცვლილებებით შევიდა. რითი უნდა დაამახსოვრდეს ამომრჩეველს უკვე წინა შემადგენლობა საკანონმდებლო ორგანოსი, ვინ აქტიურობდა და ვინ "იჯდა რადიატორთან", რამდენად საქმიანი და საქმე შედეგიანი გახლდათ მის მუშაობაში, გამოირჩეოდა თუ არა ხმაურიანი თუ უხმაურო გადაწყვეტილებებით, ამომრჩეველმა საქმით დაინახა.

სანამ ესტაფეტას ახლებს გადასცემდნენ, მოკლედ იმაზე, რა ხდებოდა დარბაზში, როცა იქ მესამე მოწვევის საკრებულო იკრიბებოდა. თუმცა, როგორც ოპოზიციაში, ისე უმრავლესობაში, ახლი შემადგენლობის დიდი ნაწილი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, კვლავ თვალს მიჩვეული სახეებია ძველი შემადგენლობიდან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ და მისმა მოადგილემ, კობა ძიძიგურმა, შეიძლება ითქვას, ერთგვარი ანგარიში ჩააბარეს ამომრჩეველს, როცა მესამე მოწვევის საკრებულოს უკვე გარდასულ ქრონიკებზე დაგუსვით რამდენიმე კითხვა.

ერთი რამ დაუფიქრებლად იცის ნუგზარ ჯამბურიამ, საკრებულოს დარბაზში სხდომის წაყვანას, სკოლაში ფიზიკის გაკვეთილის ჩატარება ურჩევნია. რაც შეეხება სხვას, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე თვლის, რომ მესამე მოწვევის საკრებულომ თავისი სათქმელი სამტრედიის ისტორიაში თქვა, და კარგადაც თქვა: "სამი წელი და თითქმის სამი თვე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოსათვის საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის პერიოდი გახლდათ. ვიტყოდი, რომ მისმა ყველა წევრმა ბოლომდე გაართვა თავი ამომრჩევლის წინაშე აღებული პასუხისმგებლობის პირნათლად შესრულებას. საკრებულოს წევრებმა თავიანთი ცოდნა და ინტელექტი, ყველა შესაძლებლობა გამოიყენეს სწორი და მუნიციპალიტეტისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მისაღებად. როგორც მოგეხსენებათ, ხელისუფლებაში მოსვლისას მესამე მოწვევის საკრებულოს უმრავლესობა არ გახლდათ რაიონის საზოგადოებისათვის პოლიტიკაში თვალს მიჩვეული პერსონებით დაკომპლექტებული, არაერთი მათგანი ახალი კადრი იყო. ამომრჩეველს აუგის თქმა არ შეეძლო ვერც მათ პოლიტიკურ და ვერც პიროვნულ წარსულზე.

იმ არაერთ საკითხს შორის, რომელთა გადაწყვეტაც შესძლო, ჩემთვის მნიშვნელოვანი სიმბოლიკისა და სახელდების კომისიის მუშაობაა, რადგან ვთვლი, რომ ამ კომისიის აქტიურობა, უშუალოდ ხალხის მოთხოვნებზეა დაფუძნებული. მსიამოვნებს, რომ ჩვენ შევძელით სოფელ ნოღის საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭება. გადაგზავნილია დანათლების სამინისტროში და თანხმობას ველოდებით, ჭაგნის არასრულ საჯარო სკოლა და მისი მიმდებარე ქუჩა, აფხაზეთში დაღუპული ჭაგნელი გმირის, ამირან გეგეშიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელობისა იყოს. ამ საკითხებზე და ამ კომისიაზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ მის საქმიანობაში საზოგადოების მოსაზრებები დომინირებენ. იყო საკითხები, რომელთაც სპეციფიური მიდგომა და გადაწყვეტა სჭირდებოდა, იყო ისეთებიც, რიხი და ხმაური რომ არ აკლდა. ერთი მინდა ვთქვა, რომ ჩვენგან არავისზე ყოფილა რამენაირი ზეწოლა და ყოველთვის ვითვალისწინებდით უმცირესობის მოსაზრებებს, თუმცა, როგორც წესი, გადაწყვეტილებებს უმრავლესობა იღებდა. როგორც გასული სამი წლის მანძილზე, ისე ახლაც, ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს საკუთარი მოქალაქეობრივი უფლება და ჩაიხედოს, გადაამოწმოს საკრებულოს სხდომის ყველა ოქმი, ჩვენი სხდომები და გადაწყვეტილებები ყოველთვის გამჭვირვალე გახლდათ.

გვყავდნენ აქტიურებიც და პასიურებიც. ესეც ჩვეულებრივი მომენტია, ზოგი აქტიურობით, ზოგი საქმიანობით, ზოგი ხმაურით და ზოგიც სიჩუმით გამოირჩევა, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში."

მესამე მოწვევის საკრებულო მესამეჯერ აძლევდა საკრებულოს წევრობის შესაძლებლობას თავმჯდომარის მოადგილეს, კობა ძიძიგურს, მაგრამ იგი პირველი გახლდათ მისთვის უმრავლესობის წევრის ამპლუაში. წინა ორში კობა ძიძიგური ოპოზიციაში იყო. "ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ბევრი გავაკეთეთ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მესამე მოწვევის საკრებულომ შესძლო, ჩემი აზრით არის ის, რომ თვისობრივად მიდგომა შეიცვალა მისაღები გადაწყვეტილებების მიმართ. მე წინა საკრებულოებში ოპოზიციას წარმოვადგენდი და შედარების სახით შემიძლია გითხრათ, რომ ამჯერად უფრო მეტად მოსახლეობის ინტერესები და საჭიროებები გახლდათ გათვალისწინებული მიღებულ გადაწყვეტილებებში, ვიდრე კერძო პოროვნებების. ვფიქრობ, ბევრი მიმიხვდება სათქმელს. ამიტომ ვთვლი, რომ ჩვენი უმრავლესობაში ყოფნით, მეტი სარგებელი მოვუტანეთ ხალხს. გარდა ამისა, არ ყოფილა საზოგადოებრივი აქტივობა, რომ არ გამოვხმაურებოდით. ვაქტიურობდით დასუფთავების აქციებში, მიხარია, რომ ჩემი ინიციატივაც გახლდათ გამწვანების აქციების მოწყობა. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობით და მათი თანადაფინანსებით, საბავშვო ბაღებისა და სკოლებისთვის რამდენიმე საჭირბოროტო საკითხი გადავწყვიტეთ. საკუთარ თავს მიღწევად ვუთვლი ამ პრობლემების მოგვარებაში მონაწილეობას. ყოფილა ხმაურიც საკრებულოს დარბაზში, ოღონდ საქმიანი ხმაური. ყოფილა შელკაპარაკებაც, რაც ბუნებრივია მოჰყვება პოზიცია-ოპოზიციის ერთობლივ მუშაობას. გვყავდნენ აქტიური წევრებიც, და ისეთებიც, როგორც თქვენ თქვით, "რადიატორთან რომ ისხდნენ." ეს მტკივნეულად ღიმილიანი თემაა და სამწუხაროდ, ხდება ხოლმე! მე ვიცი რას ნიშნავს ოპოზიციაში ყოფნა. ორი მოწვევის საკრებულოს შემადგენლობაში წარმოვადგენდი უმცირესობას. ყურადღებას ყოველთვის ვამახვილებდი და აქცენტებს ვაკეთებდი საზოგადოებისათვის მტკივნეულ საკითხებზე, ხელისუფლებას უკანონობაში ვამხელდი. თუმცა, ჩემი გამოსვლები არ შუქდებოდა ადგილობრივ მედიაში. ჟურნალისტები დამეთანხმებით, სერიოზული პრობლემები და ზეწოლები იყო ოპოზიციური აზრის გაშუქებაზე. ჩემი პროტესტი, თუ არ ჩავთვლით ორ შემთხვევას ადგილობრივი ტელევიზიით, არასდროს მისულა პუბლიკამდე მედიის საშუალებით. უნდა დამეთანხმოთ იმაშიც, რომ ამჯერად, როცა მესამე მოწვევის საკრებულოში სხვებთან ერთად მეც უმრავლესობაში ვარ, დღეს უმცირესობაში მყოფი მაშინდელი უმრავლესობა არ უჩივის ტრიბუნის არქონას. მედია საშუალებებიც, თუნდაც თქვენი გაზეთი, თამამად აშუქებენ მათ გამოსვლებს, ისინი ხშირად პოზიორობენ ადგილობრივ სატელევიზიო კამერასთან. აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემი ოპოზიციაში ყოფნისას, არასდროს მქონია პოპულისტური, საჩვენებელი გამოსვლები. ახლანდელ ოპოზიციას უფრო საჩვენებელი პროტესტი აქვს, თორემ, იმის რეალურად განხორციელება, რასაც მოითხოვენ, შეუძლებელი რომ არის, ჩვენზე უკეთ თავად იციან. მათ მხოლოდ მოსახლეობას უნდათ დაანახონ, როგორ ზრუნავენ მათზე. ერთი სიტყვით, მესამე მოწვევის საკრებულოში მყოფი ოპოზიცია, გაცილებით უკეთეს დღეშია, ვიდრე მე, ოპოზიციონერი გახლდით მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს."

მეოთხე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომისთვის დარბაზის მზადება უკვე დაწყებულია. სულ რამდენიმე დღე და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისტორიაში ახალი რეალობა დადგება. ამომრჩეველის სურვილი მისთვის საკეთილდღეო დაპირებების კიდევ ერთხელ არგაცრუება და, თუ პირნათლად არა, მნიშვნელოვნად შესრულებაა. დაველოდოთ როგორი იქნება კიდევ ოთხი წლის შემდეგ ჯერ ისევ უფლებამოსილების მოლოდინში მყოფების საბოლოო სიტყვა.

ახალსოფლის საბორნე გადასასვლელი მწყობრში დროულად ჩაღგა

ნათია ნაცვლიშვილი

გასულ დღეებში მოსულმა უხვმა ნალექმა პრობლემა შეუქმნა ძველ სამტრედიაში მდებარე საბორნე გადასასვლელს. დიდი რაოდენობით ხის მორები და სხვა სახის ნარჩენები ბორნის მისადგომთან დაგროვდა, სავსებით წაირეცხა ბორნის მეორე მისადგომი, შეუძლებელი იყო იქ ადამიანს ფეხი დაედგა. სასწრაფოდ იყო საჭირო ამ ადგილას რამდენიმე მანქანა ხრეშის შემოტანა და ნაპირის ასეთი სახით გამაგრება.

მოსახლეობამ დახმარების თხოვნით მიმართა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ახალსოფლის მკვიდრს, საკრებულოს წევრს, გრიგოლ დარჯანიას.

გრიგოლ დარჯანიამ "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში განაცხადა: "ახალსოფლის მხრიდან გაიწმინდა სანაპირო, კერძოდ, ბორნის მისადგომი ადგილი. მადლობა ხელისუფლების წარმომადგენლებს, გამგებელ, ბატონ ვალერი ფოცხვერიას და ეწრის მაჟორიტარ დეპუტატს, მერაბ უღრელიძეს. ასევე, კომპანია "ალტკომს", რომელმაც დაგვახმარა ტექნიკა, (თვითმცლელი), მადლობა მინდა ვუთხრა კომპანიის წარმომადგენელს, რამინ ვაშაკიძეს. ასევე კომუნალურ გაერთიანებას, რომლის ტექნიკაც ჩაერთო პროცესებში და მათი დახმარებით გაიწმინდა ახალსოფლის 50 მეტრი სიგრძის საწრეტი არხი, რომელიც მდინერე რიონს უერთდება. ჯერ კიდევ არ არის დასრულებული მოსავლის აღება, მიმდინარეობს საყანე ფართობებიდან მოსავლის გამოტანა, მოსახლეობას თავისუფლად უნდა შეეძლოს როგორც მოსავლის გამოტანა, ისე, საქონლის გამოყვანა. ამდენად, ამ საბორნე გადასასვლელის პარალიზება დაუშვებელია. "

იშრიალონ ხეებმა

ლევან გაბეჩავა

მზიანი დილა გათენდა სამ ნოემბერს სამტრედიაში.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის გახსნიდან მეექვსე წელს, მოლოდინი გვქონდა ტაძარი მრევლით იქნებოდა სავსე, მაგრამ...

ვაღიარებ, მაშინ მივედი ტაძარში, როცა ღვთისმსახურება დაწყებული იყო, გალობდა ტაძრის მგალობელთა გუნდი. აქვე იყვნენ ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი ჯონი ნადირაძე მეუღლითურთ, ბატონები კობა ძიძიგური, გივი ღაღანიძე, ზურაბ ზაქარიაძე და სხვა ცნობილი სახეები.

დეკანოზმა ვახტანგმა ქადაგებით მიმართა მრევლს, ისაუბრა მეუფის ღვაწლზე ეპარქიის წინაშე, იმ ყურადღებასა და თანადგომაზე, რასაც მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა იჩენს საკათედრო ტაძრის კომპლექსის მშენებლობისადმი, გაიხსენა ხონი-სამტრედიის ეპარქიის აღდგენის პირველი მძიმე წლები და დალოცა მრევლი, მიულოცა მათ ტაძრის გახსნის დღე, აუწყა მრევლს, რომ დეკემბრის დასაწყიში სამტრედიაში ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს ჩამოაბრაძანებენ.

ამავე დღეს საზოგადოება "სამტრედიელის" წევრებმა (თავმჯდომარე ტატა გოგუაძე), ტაძრის მიმდებარე ტერიტორიას რამდენიმე მცენარე შემატეს და ასე მიულოცეს სამტრედიელებს სამი ნოემბერი.

მისასალმებელია საზოგადოება "სამტრედიელის" ინიციატივა, ეს ადგილი ყველა სამტრედიელისთვის განსაკუთრებულად საყვარელია, მსგავსი ფაქტები სამომავლოდაც რომ გაგრძელდებოდეს, კარგი იქნება. სამი ნოემბერი, ტაძრის გახსნის დღე გვინდა მივულოცოთ სამტრედიელებს, განუცხადეს "სამტრედიის მაცნეს" ტაძრის მხატვარმა დავით მორგოშიამ, ბატონებმა ჯონი ნადირაძემ, ლევან ახობაძემ, კობა ძიძიგურმა.

საზოგადოება "სამტრედიელის" სახელით სამ ნოემბერს ვულოცავ სამტრედიელებს, ტაძრის მრევლს, უფლის წყალობას ვუსურვებთ მათ.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს, საზოგადოებამ მოკრძალებული წვლილი შეიტანა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებაში, რაც მისასალმებელია. _ აღნიშნა "სამტრედიელის" თავმჯდომარემ, ტატა გოგუაძემ.

წლების შემდეგ ეს ციცქნა ნერგები უკვე ცადაზიდებულები შვებას მოჰგვრიან, განიერ ტოტებქვეშ შეიფარებენ ტაძარში მოსულთ.

მიხაროდეს!

დეკემბრის დასაწყისში ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს ხონი-სამტრედიის ეპარქიაში ჩამოაბრძანებენ, ამცნო სამ ნოემბერს ქადაგებისას მრევლს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის წინამძღოლმა, დეკანოზმა ვახტანგმა (მაღლაკელიძე).

...

1606 წელს შაჰ-აბას პირველმა კახეთის მეფედ ქეთევან დედოფლის ვაჟი თეიმურაზ პირველი დაამტკიცა.

ვინაიდან თეიმურაზი სრულიად ახალგაზრდა იყო, სამეფო საქმეებს ქეთევან დედოფალი განაგებდა.

1614 წელი. თეიმურაზმა შაჰის მოთხოვნით განჯაში მძევლებად გაგზავნა უმცროსი ვაჟი ალექსანდრე და დედა _ დედოფალი ქეთევანი. თეიმურაზმა რუსეთის დახმარებით სცადა დედის განთავისუფლება... მაშინ შაჰმა შირაზის ბეგლარბეგს უბრძანა ქეთევან დედოფალი გამაჰმადიანებაზე დაეთანხმებია. შეთავაზებაზე დედოფალმა არაერთგზის განაცხადა მტკიცე უარი, რის გამოც საშინელი წამებით მოჰკლეს იგი.

ქრისტიანულ სარწმუნოებას შესწირა დედოფალმა ყველაზე ძვირფასი _ სიცოცხლე და ამით ქრისტესადმი სიყვარულის, სარწმუნოებისადმი ერთგულების არნახული მაგალითი მისცა თაობებს.

გოის ავგუსტიანელთა კოლეგიის ბერებმა ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილები სპარსეთიდან გაიტანეს. შემდეგ ეს ნაწილები ინახებოდა საქართველოში, ალავერდის ტაძარში, საიდანაც 1773 წელს დაიკარგა. წმინდა ნაწილები ინახება აგრეთვე ინდოეთში (გოია და _ გრასოს მონასტერში) და რომში წმინდა პეტრეს ტაძარში.

ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი აღსასრული აღაფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს ქრისტიანებს. დედოფლის წამება აღწერეს თეიმურაზ პირველმა (პოემა "წამება ქეთევან დედოფლისა"), გერმანელმა მწერალმა ა. გრიფიუსმა შექმნა ტრაგედია "ქეთევან წამებული ანუ გაუტეხელი სიმტკიცე".

ქართულმა ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა.

დედოფლის წმინდა ნაწილებს მთელ საქართველოს მოატარებენ, დეკემბრის დასაწყისში კი ჩვენს ეპარქიაში ჩამოაბრძანებენ.

მეოხ გვეყავ წმინდანო!

ლევან გაბეჩავა

სად არის ინიციატივა, სად არიან ინიციატორები?

საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს თუ რა სიხარულით, აღმაფრენით გამოეხმაურა გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველო დუშელი ახალგაზრდების ინიციატივას კაკლის ხეივნების გაშენების შესახებ.

"იშრიალონ კაკლის ხეებმა" ასეთი იყო აქციის სახელწოდება, აქციისა საქართველოს ფლორასა და ფაუნას მილიონობით ძირი კაკალი რომ შემატა.

კაკლის სანერგეებს მარტივი წესით თავად აწყობდნენ სკოლები და ამ საქმეს ახალგაზრდული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ.

თითქოს ჭირი და უბედურება გვაკლდა, ამ ზაფხულს საშინელმა ხანძრებმა მოიცვა ამერ-იმერი. (რაღა ხანძრებით დავემსგავსეთ ევროპას?!)

განადგურდა ათეული ჰექტარი უიშვიათესი ჯიშის ხე-მცენარე, წიწვოვნები. ამის მიუხედავად, ვითომდა არაფერი მომხდარიყოს, არაფერი ისმის ტყეების აღდგენის შესახებ, ამ საშვილიშვილო საქმეში საყოველთაო მონაწილეობისათვის.

ზარალი დიდია, ამდენად მარტო დარგობრივი სამინისტროს ამარა არ უნდა იყოს დატოვებული მისი აღმოფხვრის ღონისძიებები.

ვფიქრობთ, ერი, ბერი უნდა ჩაერთოს შემოდგომა-გაზაფხულზე საქართველოს მთა-ბარში, განსაკუთრებით ნახანძრალ ადგილებში ტყეების გაშენების პროცესში. ეს ხომ ისევ ჩვენ, ჩვენს შვილებსა და მომავალს სჭირდება. როგორც იტყვიან, ამ თვალსაზრისით ყოველი წუთი ძვირფასია, შემოდგომის ხელსაყრელი დღეები ხელიდან არ უნდა გავუშვათ და ყველაფერი უნდა ვიღონოთ საამისოდ.

ლევან გაბეჩავა

მადლობის ბარათი

სამადლობელით მოვიდა ამ დღეებში რედაქციაში ღვაწლმოსილი ქალბატონი მედიკო ვაშაკიძე-ახობაძე. მადლობის ადრესატები ამჯერად მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, ააიპ გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების დირექტორი ელგუჯა კალაძე და ამავე გაერთიანების თანამშრომელი პაატა კაკაბაძე არიან.

"საქმე იმაშია, რომ დიდ ჯიხაიშში ქაშუეთის სასაფლაოზე მშობლების საფლავამდე ვერ მივდიოდი იქ არსებული უწესრიგობის გამო. მას შემდეგ, რაც დახმარებისათვის ბატონ ნუგზარს მივმართე, მან საქმეში ბატონი ელგუჯა კალაძის უწყება ჩართო. პრობლემა მოგვარდა სასაფლაოს ტერიტორია მოწესრიგდა, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა მათ გულისხმიერებისათვის". _ აღნიშნა ქალბატონმა მედიკომ.

მისასალმებელია, როცა მოქალაქეთა სატკივარს, პრობლემას გულისყურით ეკიდებიან.

ლევან გაბეჩავა

საბავშვო ბაღებში კვების ახალი რეგულაციები დამტკიცდა

თეა ბაბუნაშვილი

როგორც ირკვევა, 2018 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში საქართველოს მთავრობის მიერ უკვე მომზადებული ტექნიკური რეგლამენტი, "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების" ახალ რეგულაციებს რომ გულისხმობს. იგი გამიზნულია კვების ორგანიზების წესებისა და პრინციპების, აგრეთვე, რაციონის კვებითი ღირებულებების დასადგენად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის ბავშვთა ოპტიმალური ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად და კვების დეფიციტის, სიმსუქნისა და კვებასთან დაკავშირებული ქრონიკული დაავადებების პრევენციის მიზნით. "ჯანმრთელობისათვის საჭირო ნუტრიენტების მისაღებად, ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯანსაღი კვების პირამიდის მიხედვით შემოთავაზებული სურსათის მრავალფეროვნებით. ყოველდღიურ რაციონში საკმარისი რაოდენობით უნდა იქნეს შეტანილი მარცვლოვანი პროდუქტები, რომლებიც შეიცავს ჯანმრთელობისათვის აუცილებელ საკვებ ბოჭკოს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს, ნახშირწყლებს და მინერალებს. კვებისთვის შერჩეული უნდა იქნეს დაბალი ცხიმის, ნაკლები მარილის შემცველობის პროდუქტი. არაგადამდებ დაავადებათა განვითარების რისკის შემცირებისა და სიმსუქნის პრევენციის მიზნით უნდა შეირჩეს ნაკლები შაქრის შემცველი სურსათი და სასმელი." _ ეს გახლავთ ის მოთხოვნები, რომელთაც რეგლამენტი გულისხმობს.

ამ ეტაპზე სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებში კვებითი რეგულაციები "ტექნიკური რეგლამენტი _ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვებითი ორგანიზების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №78-ე დადგენილებით ხდება. როგორც საბავშვო დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი სამტრედიაში, ხათუნა გაგუა აცხადებს, "ადგილობრივი ბიუჯეტით მხოლოდ კვება სამტრედიის 23-ვე საბავშვო ბაღში 240 ათას 200 ლარით ფინანსდება. ეს თანხა შესაძლებლობას გვაძლევს სრულფასოვნად ვკვებონ ბავშვები. რძის პროდუქტები, ხორცი, ბურღულეული, მარცვლეული, ტკბილეული _ ყველაფერია გათვალისწინებული მენიუში. ხაზს ვუსვამ, რომ ხორცპროდუქტები განსაკუთრებულად, ყველა ნორმის დაცვით შემოწმებული და მაღალი ხარისხის მოგვდის. კვების რაციონში დაცული გვაქვს კალორაჟი და ყველა საჭირო ასაკობრივი ნორმა. რაც შეეხება ახალ რეგულაციებს, იგი იანვრიდან ამოქმედდება და ველოდებით შესაბამის ინსტრუქციებს. არ გამოვრიცხავთ, რომ მენიუ ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობებს მოერგოს. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, რომ რომელიმე კომპონენტი კვების რაციონიდან ამოვარდეს. არ არის გამორიცხული, რომ ახალ რეგულაციებს დაფინანსებაც მოჰყვეს. უბრალოდ, წინასწარ ვერაფერს ვამბობ დარწმუნებით. ვიცი მხოლოდ ის, რომ სტანდარტი გაუმჯობესდება."

საბავშვო ბაღებში ამჯერად აღსაზრდელები კვების გადასახადს არ იხდიან, ისინი სრულიად უფასოა. აღსანიშნავია, რომ მომავალი წლიდან ასამოქმედებელი კვების სტანდარტი კერძო საბავშვო დაწესებულებებსაც მოიცავს და გააკონტროლებს.

“თქვენა ხართ ქრისტეს ლაშქარი, საპატრიარქო ტახტის მცველი მხედრობა”

ნათია ნაცვლიშვილი

დაარსდა საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოება, ამ საზოგადოების წევრები სამტრედიის მუნიციპალიტეტს ქუთაისიდანაც ეწვივნენ და ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა ჩვენება ფილმისა სახელწოდებით: ‘‘თავგანწირვის ტაძარი’’. ფილმი ქართული ოჯახის ერთიანობას და სიმტკიცეს ეძღვნება. ის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სტუდია ‘‘გუთანმა’’ გადაიღო. ‘‘ისინი სიყვარულით ერთიანდებიან ქრისტეში, რათა ერთად იზრუნონ ცხონებისათვის’’ _ ამ ჭეშმარიტებით იყო დამუხტული ფილმი, რომელიც ახალგაზრდებს ოჯახის ერთგულებისაკენ, ფეხმძიმობის ხელოვნურ შეწყვეტაზე უარის თქმისა და მრავალშვილიანობისაკენ მოუწოდებდა. ფილმში დარგის სპეციალისტები საუბრობენ დემოგრაფიულ პრობლემებზე.

შეხვედრა ჩოხოსანთა საზოგადოების ხელმძღვანელმა მალხაზ იანტბელიძემ გახსნა და სიტყვა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარს, ვახტანგს (მაღლაკელიძე) გადასცა: ‘‘ღმერთმა დაგლოცოთ, მეუფის ლოცვა-კურთხევით მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე, 3 ნოემბერს დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის 6 წლის იუბილეა. ბევრმა არ იცის, რომ 21 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი ეპარქია აღსდგა, 1996 წელს ჩვენი უწმინდესის ლოცვა-კურთხევით აღსდგა ხონი-სამტრედიის ეპარქია, ეპარქიის მმართველად კი მიტროპოლიტი მეუფე საბა (გიგბერია) დაინიშნა. დღევანდელი დღე ეკლესიურად მართლაც დატვირთული დღეა, ადამიანი ეკლესიის გარეშე ვერ იცხოვრებს, სულის ცხონებაზე უნდა ვიზრუნოთ. სამტრედიაში ჩოხოსანთა საზოგადოება დაარსდა, მადლობა ამ ადამიანებს, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ეროვნულ სამოსს, ჩოხას. ქართული შესამოსელი ვაჟკაცობის სიმბოლოა. დღეს ნაჩვენები იქნება ფილმი, რომელიც ეძღვნება ოჯახს. მინდა შეგახსენოთ, რომ აბორტი არის უდიდესი, საშიშვდილო ცოდვა, წმინდა მამები მას ჰეროდეს ცოდვას უწოდებენ, 14 000 ყრმა მოაკვლევინა ჰეროდემ, როცა იესო იშვა ბეთლემში. ჩვენ სავალალო სტატისტიკა გვაქვს: საქართველოში წელიწადში 100 000 აბორტი კეთდება, ეს ფილმი ბევრ საგულისხმოს გეტყვით...’’

‘‘სამტრედიის მაცნემ’’ კომენტარი სთხოვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თამჯდომარეს, საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, დასავლეთ საქართველოს კოორდინატორს, ლევან როხვაძეს: ‘‘სტუდია ‘‘გუთანი’’ და ‘‘ჩოხოსნები’’ პარტრიარქის ლოცვა-კურთხევით საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაზე ვზრუნავთ, პატრიარქი ჩვენი ორგანიზაციის თავმჯდომარეა. ბევრი ჩოხოსანი გვყავს, 35 პროცენტი ახალგაზრდობაა, მარტო იმერეთში 200-ია მეოთხედან მერვე კლასამდე ბავშვი. ჩვენი ბავშვები სამშობლოს სიყვარულით უნდა გავზარდოთ, ქართულ სულზე, ოჯახის სიწმინდეზე, სიყვარულზე ვესაუბროთ, მეარი და მრავალშვილიანი ოჯახი ერის სიძლიერის საფუძველთა საფუძველია. _ აღვზრდი ჩემს შვილებს ღვთის სათნოდ და სამშობლოს მოყვარედ, _ ასეთ სიტყვას ამბობს და პირობას დებს ყველა, ვინც ჩვენს დასში გაწევრიანდება. გენიოსი პატრიარქი გვყავს, ახლავე შემიძლია თავი გავწირო მისთვის. თქვენა ხართ ქრისტეს ლაშქარი, საპატრიარქო ტახტის დამცველი მხედრობა, მე რომ არ ვიქნები, ეს ტახტი თქვენ უნდა დაიცვათო, ღმერთს შევთხოვ მის დიდხანს ყოფნას._ “მე რაც გულში მეგულება, ვამბობ სიტყვას გულიანს, ღირსება და ერთგულება ისევ სიყვარულია. ოქროებო, ალმასებო ბოღმით რატომ გივლიათ? სიძულვილი არ არსებობს, მტრისგან მოგონილია, სანამ ძმობა არ მოგვშლია, სიყვარულს ვერ წაშლიან, სიძულვილი ჭაობშია სიყვარული ცაშია _ ეს დიდი ჯანსუღ ჩარკვიანის სიტყვებია, რომელიც ჩვენ დევიზად გვაქვს ქცეული... სამტრედიაში ჩვენი მალხაზ იანტბელიძე ჩაუდგება ჩოხოსნებს მედროშედ. მივესალმები ჩვენს არაჩვეულებრივ თეატრს, მეგობრებს ვეფხიას და როლეზს, ვულოცავ ვალერიანე ფოცხვერიას გამარჯვებას, ის ყოველ ჩვენს თხოვნაზე მხარდაჭერას გვიცხადებს. არ მახსოვს, თქვენს დეპუტატს მხარი არ დაეჭიროს ჩვენთვის’’.

თეა ბაბუნაშვილი

ჟურნალისტები აზიური მავნებლის წინააღმდეგ

ჟურნალისტიკის რესურსცენტრი, რომელიც არაერთ პროექტს ახორციელებს, ამჯერად ქვეყნისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემით, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელებით არის დაკავებული. USID-ის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, სპეციალური გადაცემის ჩაწერაზე, სხვადასხვა რეგიონული მაუწყებლობების ეთერით რომ გადის, ადგილობრივი მედიასაშუალებებიც აღმოვჩნდით. სტუმარ კოლეგებთან ერთად, ამ კუთხით მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას სოფელ დიდ ჯიხაიშში კიდევ ერთხელ გავეცანით. გადაცემა ‘‘აგროსიახლეები’’, ‘‘აგრომობილის’’ დახმარებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდ სოფელში იქაურებსა და შესაბამისი სტრუქტურების, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დისკუსიის რეჟიმში ეცნობოდა მავნებლის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს და არსებულ პრობლემებს. რადგან პრობლემა არახალია და მოსახლეობა მასში გარკვეული, საკუთარი შეხედულებები გამოთქვეს ჯიხაიშლებმა რიგი საკითხების მოსაგვარებლად. ინტერესიც დაიკმაყოფილეს იმ ნიუანსებზე, რისი გარკვევაც სურდათ. რადგან სამწუხაროდ, სოფელში ბევრი მიტოვებული სახლია, საკუთარი კარმიდამოს შეწამვლის მიუხედავად, ყოველი ცდა უშედეგოა. ამ დაკეტილ სახლებში, სხვის ოჯახებში ვერ შედიან დარიგებული წამლით დასამუშავებლად. ამასთანავე, რეკომენდირებული არ არის წამლის უშუალოდ სახლის პირობებში გამოყენება. არადა, შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების არაერთი მცდელობის მიუხედავად, აზიური ფაროსანა ‘‘დანებებას’’ არ აპირებს და გამოსაზამთრებლად საცხოვრებელ სახლებსა თუ სხვაგან დამალვას ცდილობს.

კოტე ლეჟავას ლამაზი ეზო დიდი კაკლის ჩრდილით და წარბშეკრული შემოდგომის ნამშეპარული ფოთოლცვენით, ნატურმორტის დასახატად უფრო გამოდგებოდა, მაგრამ ‘‘ჭირი თავს არ მალავს’’ და ფაროსანაზე სასაუბროდ მის ეზოში შეკრებილ მეზობლებს მასპინძელიც შეუერთდა. ‘‘სკივრიდან იმდენი ‘‘ამოვიღე’’, ჯამი გავავსე. სად, რომელ კუთხე-კუნჭულში არაა შემალული. მისი საწინააღმდეგო წამალიც დაგვირიგეს, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი გავაწყეთ. ესეც რომ არ იყოს, იმ წამლის სახლში, ოთახებში მოსხმა, რეკომენდირებული არ არის. ამიტომ, ვებრძვი მტვერსასრუტით, საპნიანი წყლით, ბუზის საკლავით, მაგრამ ვერაფერს გავდივარ.’’ _ ამბობს ეკა ანდღულაძე. ‘‘ძალიან ცუდი მდგომარეობაა ამ კუთხით. უბედურება ისაა, რომ ყოველგვარი ცდა უშედეგოა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ხსნა არ ჩანს. მოსავალი ხომ გაანადგურა და გაანადგურა, ახლა სახლებში შემოგვისახლდა და იქედან ჩვენს ‘‘გასახლებას’’ ცდილობს. აბა, რა ჰქვია ამას, ვერაფრით ვერ მოვლიეთ. შეიწამლა ჩვენი ოჯახი, მაგრამ ჯერჯერობით ბევრი ვერაფერი გამოსწორდა.’’ _ კვერს უკრავს მეზობელს ქეთევან ლეჟავა. თუმცა, ისეთიც გამოჩნდა, და მხოლოდ ერთი ქალბატონი, ნათელა სუსარეიშვილი, ხუმრობით რომ თქვა გასახარი ამბავი _ ‘‘ვერ გეტყვით, ჩემი ეშინია, თუ რა სჭირს, ჩემს სახლში ერთიც არ არის!’’ ისევე როგორც სხვაგან საქართველოში, ჯიხაიშელებიც ღიმილს ურევდნენ სასოწარკვეთას ეს მავნებელი რომ იწვევს მოსახლეობაში.

თხილის მოსავალი რომ გაანადგურა, ეს არახალია. სიმინდისაც რომ დაამატა, არც ესაა ძველი. როგორც აღმოჩნდა, ხილისა და ბოსტნეულის სხვა კულტურებსაც დარია ხელი აზიურმა მავნებელმა და გლეხი სოფელში შიმშილისთვის გაიმეტა. დამშეული სოფელი, ბუნებრივია, დამშეული ქალაქია და მოსახლეობა ხელისუფლებასთან ერთად ბრძოლის კიდევ უფრო ქმედით გზებზეა ორიენტირებული.

აჭარა, გურია, სამეგრელო და იმერეთის სხვადასხვა სოფლები უკვე მოიარეს. როგორც ამჯერად კოლეგებისგან შევიტყვეთ, მდგომარეობა მცირე განსხვავებით, თითქმის ყველგან ერთნაირია. ‘‘შესატყვისი და საჭირო ინფორმაცია ყველგან აქვთ, მაგრამ არა საფუძვლიანი, როგორ ებრძოლონ მავნებელს უფრო ეფექტურად. აგროქიმიური თუ სხვა მექანიკური საშუალებების სწორად გამოყენება, მავნებელთან ბრძოლას უფრო ქმედითს გახდის. მოსახლეობა მზადაა მეტი გაიგოს, ბრძოლის გზებზე, რომ მომავალი წლისთვის თუ სრულიად ლიკვიდირებული არა, მნიშვნელოვნად შემცირებული მაინც იყოს ზარალი და ზიანი.’’ _ აღნიშნავს ჟურნალისტიკის რესურსცენტრის კოორდინატორი, ნუგზარ სუარიძე.

სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამსახურის სპეციალისტი მიხეილ სხვიტარიძე მუნიციპალიტეტში უკვე გატარებულ ღონისძიებებზე საუბრობდა და კიდევ ერთხელ აძლევდა რეკომენდაციებს მოსახლეობას, როგორ უნდა ებრძოლათ ზამთარში მავნებლის წინააღმდეგ. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია ხაზს უსვამდა, რომ ყველა შესაბამისი სამსახური მუნიციპალიტეტში თანამშრომლობს ზემდგომ უწყებებთან და თადარიგს იჭერენ საჭირო ღონისძიებების სწორად გასატარებლად.

‘‘ჩვენი გადაცემის მიზანია, ერთის მხრივ ადგილზე მოსახლეობის ინფორმირება და ამასთან ერთად ადგილობრივების მოსაზრებები და ინტერესი, ანუ ერთგვარი სურათი, რა მდგომარეობაა რეგიონებში, მივიტანოთ სახელმწიფო სტრუქტურებამდე’’ _ ამბობს გადაცემა ‘‘აგროსიახლეების’’ ავტორი და წამყვანი გიგა აბულაძე.

კიდევ ერთი კონსულტაცია, დებატებში გადაზრდილი, დიდ ჯიხაიშში გაიმართა. ეს ერთ-ერთი გახლავთ იმ მრავალთაგან, ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად რომ ტარდება სამტრედიაში და არა მხოლოდ სამტრედიაში. როგორც აღმოჩნდა, სამტრედიის სინამდვილეში, იმერეთისა და გურიის სხვა რაიონებისგან განსხვავებით, ფაროსანამ ბაღჩეულსაც დარია ხელი.

მა სამტრედიის

87

თვალი დაუდგეს სიბერეს

ქალბატონი ვისზეც ამჯერად ვწერთ მათ შორისაა, სულმოუთქმელად რომ ელიან მათთვის ესოდენ ახლობელი "სამტრედიის მაცნეს" ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას.

სამტრედიის მაღალმთიან სოფელ ჭოგნარში დაიბადა. მეუღლესთან, დავით ნიკურაძესთან ერთად, სოფელ მელაურში ღირსეული ოჯახი შექმნა. მეუღლის ნაადრევად გარდაცვალების შემდეგ შრომა და გარჯა გააათკეცა, კერა არ გააცივა, შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილებისა და მათი შვილებისათვის დღესაც ბოლომდე იხარჯება ჩვენი გაზეთის ტოლი ქალბატონი მაგლო თევზაძე.

სისხამ დილით ადგომას იშვიათად თუ ვინმე მოასწრებს, მთელი დღე ბაღ-ბოსტანში ფუსფუსებს მკლავმოუღლელი ბევრი ჭირისა და ლხინის მნახველი ქალბატონი, რომელსაც 4 შვილი, 10 შვილიშვილი და მათი შვილები ულამაზებენ ხანდაზმულობის წლებს.

ერთხანს ქალბატონმა მაგლომ მელაურის საფოსტო განყოფილებაში იმუშავა, პერიოდულ პრესასთან მისი სიახლოვე ამანაც განაპირობა. როგორც აღვნიშნეთ "სამტრედიის მაცნესთან" იმ დროიდან მეგობრობს "წინსვლას" სახელით რომ გამოდიოდა გაზეთი.

შუაგული შემოდგომაა, მოცლილს ვერავინ ნახავს დიდი ოჯახის დიასახლისს, თვალი დაუდგეს სიბერეს, წლები რა მოსატანია, როცა ენერგიაც გაქვს და ძალაც იშრომო, გაისარჯო და ოჯახი გააძლიერო. შემოდგომის საქმეები ლამის მოათავა ამაგდარმა ქალბატონმა, მალე ზამთარი მოვა, თბილ ღუმელთან მოიკალათებს. თუმცა, უსაქმოდ ვერც ზამთარში ნახავთ, გვეუბნებიან თავისიანები. ისიც უნდა ითქვას, რომ არაერთ ადამიანს დასდებია სალბუნად მის მიერ ხალხური რეცეპტით დამზადებული მალამოები, წინაპრებისაგან რომ შეისწავლა წლების წინ.

ხანგრძლივ სიცოცხლეს, მშვიდ ხანდაზმულობის წლებს გისურვებთ ქალბატონო მაგლო მრავალრიცხოვან კეთილის მსურველთა გასახარად, თქვენი დიდი ოჯახის სადიდებლად.

ლევან გაბეჩავა

მეგობრებით ვართ ძლიერნი

"მე და ჩემი გაზეთი ერთი ხნის ვართ". ამ სათაურით მოსალოცი წერილი მოიტანა ამ დღეებში რედაქციაში ჩვენი გაზეთის უერთგულესმა მეგობარმა და შტატგარეშე კორესპონდენტმა, ღვაწლმოსილმა რკინიგზელმა და გამოცდილმა პროფკავშირულმა მუშაკმა ბატონმა **რევაზ შამათავამ**.

60 წელია თითქმის რაც გაზეთთან ვთანამშრომლობო, წერს ბატონი რეზო, რომელიც თბილად იგონებს უფროსი თაობის ჟურნალისტებს და სამადლობელს არ იშურებს მათ მიმართ, ვინც ამჟამად ქმნის გაზეთს.

მადლობას ვუხდით ბატონ რეზოს გულწრფელი მოლოცვისათვის და კეთილი სურვილებისათვის.

"სამტრედიის მაცნეს" პირველი ნომრის გამოსვლიდან 87-ე წელი გულთბილად მოგვილოცეს აგრეთვე ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ბატონმა **შუქრი ურუშაძემ**, ბატონებმა **გიგანტი ბიბილეიშვილმა, ბიჭიკო მეგრელიშვილმა, ჟ. და ი. თელიებმა** და სხვებმა... მადლობა მათ.

ლევან გაბეჩავა

ევროპის "ვარკვლავურ გზაზე"

ნინო ნანიტაშვილი

პრაღიდან სამტრედიაში სასიხარულო მაცნე მოვიდა: ჩეხეთის დედაქალაქში გამართულ ევროპის საერთაშორისო მულტი-ჟანრობრივი ფესტივალ-კონკურსის ჟიურიმ გამარჯვებულად სამტრედიელი ნორჩი ხელოვანები გამოავლინა. შეგახსენებთ, რომ პირველი ნოემბრიდან 6 ნოემბრამდე ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ევროპის მე-13 საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი "ბროლის ვარსკვლავი" გაიმართა, რომელშიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 1000-მდე მონაწილე იყო მიწვეული. "ბროლის ვარსკვლავის" მე-13 ფესტივალ-კონკურსი სპეციალურად დაამთხვიეს ევროპული პროექტის "ვარსკვლავური გზის" 10 წლის იუბილეს.

"სამტრედიის მაცნეს" მკითხველისთვის ცნობილია, რომ სამტრედიიდან საკონკურსო ნომრები ჩანაწერების სახით გაიგზავნა. "ბროლის ვარსკვლავის" ჟიურის შორის, რომლის შემადგენლობაში მიწვეული იყვნენ სხვადასხვა ჟანრის თვალსაჩინო მოღვაწეები ევროპის რამდენიმე ქვეყნიდან, გახლდათ გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" დირექტორი ბეჟან გოგია, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ შესძლო ჩეხეთში გამგზავრება.

პრაღის ფესტივალ-კონკურსი წარმატებული აღმოჩნდა სამტრედიელი ნორჩი ხელოვანებისთვის. ანა აბზიანიძის ვოკალურ ანსამბლ "იმედისა" და ფოლკ-ჯგუფ "ლადის" წევრებმა ელექტრო ფანდურზე "კავკასიური" ნაწარმოები ფანტასტიურად დაუკრა.

მრავალხმიანმა ქართულმა ფოლკლორმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა უცხოელ მსმენელზე.

ანსამბლ "იმედისა" და "ლადის" წევრების მიერ შესრულებულმა მეგობრულმა "ვა გიორქო მა", "კაჭკაჭების ალექსანდრე ბასილაიას მიუზიკლიდან "ჩხიკვთა ქორწილი", აკაპელათი ლუი ამსტრონგის "Go Down Moses", ჟიურის მოწონება და პირველი საპრიზო ადგილები მოიპოვა. სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ, როგორც ანსამბლის სოლისტები: რამაზ შენგელია და დათო მამასახლისი, ასევე ყველა "იმედელი": საბა ჩაჩუა, ლეილუკა რუხაძე, მარი ტორონჯაძე, ბარბარე მიქელთაძე, კესარია ივანიაძე, თებროლე ივანიაძე, მარიამ ლორია, ანი კობრავა, თათა ხუჭუა.

ევროპის "ვარკვლავურ გზაზე" მიღებულმა ჯილდოებმა გააბედნიერეს, როგორც ნორჩი სამტრედიელი ხელოვანები, ასევე ბეჟან გოგია და ანა აბზიანიძე, რომელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

"სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა ანსამბლ "იმედის" ხელმძღვანელს, ანა აბზიანიძეს და გამარჯვებით მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა: "ცოტა შორიდან მინდა, დავიწყო. ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა ბეჟანმა გამოთქვა სურვილი, მოესმინა ჩემი ანსამბლის ბავშვებისთვის. მან "ვარსკვლავური გზიდან", ფესტივალის პრეზიდენტ და მსოფლიო კულტურის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ქალბატონ ოქსანა ვაშოვასაგან ფესტივალ-კონკურსს "ბროლის ვარსკვლავში" მონაწილეობისთვის მოწვევა მიიღო. ამის შემდეგ შემოგვთავაზა, გვეჩვენებინა ეს ბავშვები ევროპისათვის. ანსამბლ "ლადის სოლისტებთან ერთად "იმედელებმაც" მიიღეს მონაწილეობა. ძალიან გამიხარდა, იმის გამო, რომ ანსამბლის დამაარსებელი მაესტრო თამაზ დუნდუა და მე "იმედთან" ერთად 30 წლის წინ ვიმყოფებოდით ჩეხოსლოვაკიაში გასტროლზე. ბატონი ბეჟანი თამაზ დუნდუას უახლოესი მეგობარი იყო და სწორედ მისი მეშვეობით მეორედ მოგვეცა შანსი "იმედის" ხმა პრაღაში ისევ გაჟღერებულიყო. გამახსენდა ის ძველი დრო, როცა ბატონი ბეჟანი ქალაქის მერი იყო, ჩემს ანსამბლს მაშინ მან ფინანსური დახმ-

“თორემ მე წავალ, მელოდება მთების ხანძარი”

ნათია ნაცვლიშვილი





რა ცუდი შემოდგომაა. უკვე მეორე გამოსათხოვარი წერილის დაწერა მიწევს! თემურ ქორიძის შემდეგ ჯანსუღ ჩარკვიანი გადავიდა მარადისობაში. წუთისოფლის ოთხმოცდამეშვიდე შემოდგომაზე დასრულდა სიტყვამქუხარე ჯანსუღის ფოთოლცვენა. დიდი პატრიოტის, ქართველის და მგოსნის “დღე დაილია”. ვინც თუნდაც ერთხელ მაინც შეხვედრია მას, ვერასოდეს დაივიწყებს ამ ბობოქარი სულის მქონე, მუდამ მხნე და ვაჟკაცურ პოეტს. სამშობლოს ტკივილების გულის გულამდე განმცდელს (აბა შენ იცი, აბა შენ იცი, როგორ მიიტან ყველაფერს გულთან), ნაღვლიან ჭირისუფალს დაცლილი ქართული სოფლისას (ვაითუ ადგეს ქართველი გლეხი და სოფელს ზურგში ჩასცეს მახვილი...), სამშობლოს გმირთა მადიდებელს (ერთი სიცოცხლე რას დაგვაბერებს, ასი სიკვდილი გამოგვივლია). “ირინოლასი” არ იყოს, რომელ ქართველს, დიდსა თუ პატარას არ აკერია ენაზე მისი ლექსების სტროფები... “თქვენგან” ნაჩუქარი ცისფერი კესანები სულში ამოდიან და თინათინობენ,” პოეტო!... თქვენ გვასწავლეთ, როგორ ვუმკურნალოთ “ძმათა იარებს”, როგორ ვიმშობლოთ, როგორ ვიქართველოთ... ან როგორ მოძღვრავთ თქვენს ხელოვან ძეს, საუკუნოდ რომ უკვდავგყოთ თავის სიმღერებში: “თორემ მე წავალ, მელოდება მთების ხანძარი, მე რწმენას ჩემსას, რა თქმა უნდა, აღარ შევიცვლი, გადავაბრუნე ჩემი ქვა და ჩემი არძანნი, მოსჩანს აღმართი, მიდი შვილო, აბა შენ იცი”...

“მშობელი მიწის გული გრილია”, ბატონო ჯანსუღ, განისვენეთ მშვიდად... “მერე მოვკვდები ისე ლამაზად, ვით დაიბადა ეს ყველაფერიო”, ბრძანეთ ულამაზესად. “თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრიაო” _ თქვენივე ტექსტზე შექმნილი, მამუკას ამ სიმღერა-ჰიმნის ფონზეც ხომ დაგატოვებინეს რევოლუციური პარლამენტის სხდომა... მოკლედ, რამდენ რამეს იტევთ და მოიცავთ... ბედნიერი ვარ, რომ მერგო პატივი თქვენს ბინაში არაერთხელ სტუმრობის, არაერთი ინტერვიუს შემდეგ საუბრის. არ მახსოვს, სუფრაზე მიუპატიჟებლად გამოგეშვით როდესმე. თქვენი ნაჩუქარი შინდისფერი ოთხტომეული ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის ერთ-ერთი ჯილდოა. პირველ ტომს თქვენივე იუმორნარევი წარწერა ამშვენებს.

ჯანსუღ ჩარკვიანი გრძელდება, ის მარადისობას შეუერთდა მხოლოდ...



არება გაუწია, იმ თანხით ანსამბლის წევრებმა შევიკერეთ რამდენიმე ფორმა და საგასტროლოდ წავედით. ამჟამად თავისი კეთილი სურვილით მოვიდა ბატონი ბეჟანი ჩვენთან და შემოგვთავაზა ევროპის ფესტივალ-კონკურსში მონაწილეობის მიღება, რაც გახდა წინაპირობა, “იმედის” საკონცერტო ნომრებს პრაღაში პირველი ადგილი დაეკავებინა.

როცა ჩემს ანსამბლს გარკვეული მიღწევები უგროვდება, რატომღაც მგონია, ამით ჩემს თამაზ დუნდუას იმერში ბედნიერს ვხდი. სადაც “იმედის” წარმატება გაიჟღერებს, იქვე თამაზ დუნდუას სახელსაც დავიწყება არ უწერია. ვისარგებლებ შემთხვევით და “სამტრედიის მაცნესთან” ექსკლუზიურად დავაანონსებ: ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრთან არსებული ვოკალური ანსამბლი “იმედი” ნოემბრის შუა რიცხვებში გამართავს მიუზიკლს “ჩხიკვთა ქორწილი”. ამ დღეს სამტრედიაში ველოდებით “ივერიის” თითქმის მთლიან შემადგენლობას”.

უკვდავება

ანდრო თევზაძის საიუბილეოდ

პოეტების მხარეა საქართველო.

სამტრედიაშიც არაერთი ღირსეული, ცნობილი შემოქმედის აკვანი დაირწა.

ანდრო თევზაძის სახელი კარგადაა ცნობილი საზოგადოებისათვის.

სხვადასხვა გამომცემლობების დირექტორი, აჭარის მწერალთა განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, მრავალი პოეტური კრებულის ავტორი გახლდათ. ბატონმა ანდრომ შესანიშნავი მონოგრაფია მიუძღვნა უშანგი ჩხეიძის შემოქმედებას.

პოეტის შემოქმედებითი ღირსების მაჩვენებლია ის გარემოება, რომ მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, სომხურ, უკრაინულ, ინგლისურ ენებზე. მის ლექსებზე შექმნილია სიმღერები, რომლებიც ყველა დროის ჰიტად რჩება.

მათ შორისაა 1939 წელს დაწერილი ლექსი “თბილისი და წაღვერი”.

თბილისი და წაღვერი

გრძნობა როგორ დაგიამო,
ან რა ლექსი გიმღერო?
ქალო, ალვისტანიანო,
ვარდისა და მზის ფერო!
ნუთუ აღარ გაგახსენდი,
რაც აქედან წახველი?!
ო, ნეტავი ერთად იყოს
თბილისი და წაღვერი!
თვალს გავახელ, წიგნს გადავშლი,
თუ მიდამოს ჩავცქერი,
მომანათებს შენი სახე
და თვალების ჩანჩქერი.
შენზე ფიქრებს გადავურჩე,
თუ თბილისის მზეწვიას?
ვერ მოვუსწარ მატარებელს,
ეს რომ გამომეძია;
ბევრი კოცნა დაგადევნე,
ერთიც ვერ მოგეწია!
აგერ თითქმის სამი თვეა,
რაც დატოვე ეს მხარე
და წერილიც არ მომწერე,
ერთხელ არ გამახარე!
შენ ნაძვნარში დასეირნობ,
მე კი მადნობს ივლისი;
ო, ნეტავი ერთად იყოს
წაღვერი და თბილისი!
იქნებ სხვაზე გამცვალე და
სხვას აენთე კელაპტრად?!
არ გიყვარვარ? ჩემი ლექსი
აბა, რად მოგენატრა?!
თუ გიყვარვარ, რად გამირბი,
რატომ თავაზიანობ?
თუ ჩემი ხარ, რატომ გინდა,
ეჭვით დამაზიანო,
ჩემო ვარსკვლავთვალიანო,
მთვარის თანაზიარო!
ჩემი გრძნობა წმინდა არის,
ვით ანკარა მთის წყარო,
და მგოსანზე უკეთესმა
ქვეყნად ვინ შეგიყვაროს?!
პოეზიის სურნელება,
მსურს, რომ გადმოგიღვარო,
სიხარულის დღეებია,
მოდი, ჩვენც გავიხაროთ!

1939 წ.

ნაადრევად წავიდა სამზეოდან, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, ბევრის, ბევრის გაკეთება შეეძლო კიდევ, ბევრი ლამაზი სტრიქონით, ლექსით შეეძლო გაემდიდრებია სიტყვაკაზმული ქართული მწერლობა.

105 წლისა გახდებოდა პოეტი წელს.

სამწუხაროდ, ახალგაზრდებმა არ იციან, ან ნაკლებად იციან ამ ალალმართალი კაცის, შესანიშნავი შემოქმედის შესახებ.

არ იქნება ურიგო პოეტის იუბილე მოკრძალებულად მაინც თუ აღინიშნება მის მშობლიურ რაიონში.

ლევან გაბეჩავა

ფიზიკა _ საოცრებათა ქვეყანა

ნათია ნაცვლიშვილი

მეორე საჯარო სკოლაში მეცნიერებისა და ხელოვნების დღესასწაულია! ღვაწლმოსილი პედაგოგის, მზია კირთაძის შთამბეჭდავმა ნიჭიერებამ და ენერგიულობამ ვინ იცის, მერამდენედ, სასიამოვნოდ დამუხტა იქაური პუბლიკა. მეცხრეკლასელებთან ერთად პედაგოგმა წარმოადგინა ფიზიკისა და ხელოვნების იდეალური სინთეზი: ღონისძიება, სახელად "ფიზიკა, საოცრებათა ქვეყანა". მისმა წამყვანმა ფერიამ გვამცნო, რომ ურთიერთს სამი გუნდი - ქალაქი _ მექანიკა, თერმოგრადი და ელექტროპოლი შეერკინებოდნენ. თითოეულ გუნდს გააჩნდა საკუთარი სიმბოლიკა _ გერბი, დროშა და ჰიმნი. ეს სამი სახელწოდება კი იმიტომ, რომ სამივე ფიზიკის ძირითადი მიმდინარეობაა. უძველეს დროს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში შეამჩნია თალესმა, რომ მაგნიტი იზიდავდა რკინას, ასე შეიქმნა ელექტროობა. თერმოგრადი მოგვიანებით ექიმ მაიერის შრომების წყალობაა. მექანიკა ფიზიკის ნათლიიდან, არისტოტელედან მოდის, მერე გალილეის და ბოლოს ნიუტონის მხრებზე დგას. მექანიკის საფუძველი, ბორბალი კი, 5000 წლის წინ შუმერებმა გამოიგონეს.

ძალზე საინტერესოდ წარიმართა ეს შემეცნებითი ხასიათის გაკვეთილი. ურთიერთს შეერწყა ცეკვა, სიმღერა და მოსწავლეთა მეცნიერული ცოდნა ფიზიკაში, გამყარებული უამრავი სახალისო ცდით (მაგალითად, რატომ არ ერევა ერთ ბოთლში ჩასხმული ზეთი და ძმარი, თუ წყალს ვაკუუმში, ანუ უჰაერო სივრცეში ავადუღებთ, ხელს არ დაგვწვავს და სხვა...), გუნდებს ევალებოდათ, მოეთხროთ თავიანთი ქალაქის ისტორიის და მომავლის შესახებ, ქალაქის საუკეთესო ადამიანთა შესახებ, მოეხდინათ ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დემონსტრაცია (ცდები).

აი, მაგალითად, ქალაქ ელექტროპოლის მერი გვაცნობს მთავარ მაცხოვრებლებს: გამტარებს, ნახევარგამტარებს და დიელექტრიკებს. არქივარიუსი კი გვიყვება, რომ წინათ ქალაქის ადგილას იყო ორი დასახლება _ ელექტროპოლი და მაგნიტოპოლი. ისინი მუდამ მტრობდნენ ერთმანეთს. სამარცხვინო მაგნეტიკებიო, ამბობდნენ ელექტრიკები. ასე გაგრძელდებოდა, ვიდრე ჯეიმზ კლერკ მაქსველი დაამტკიცებდა, რომ მაგნეტიკები და ელექტრიკები ტყუპი ძმებია. მაქსველმა ბრძანა: დღეიდან ჩაითვალოს, რომ ბუნებაში არსებობს ერთიანი ელექტრომაგნიტური ველი და ელექტრული და მაგნიტური ველები მისი გამოვლინების არსია. ამის შემდეგ არსებობს ერთიანი ქალაქი ელექტროპოლი. ამას მოჰყვება საუბარი ელექტრულ დენზე და საინტერესო ცდები. სცენაზე მესამეკლასელი ბიჭუნა- ელექტრონიც (თომა ქვაჩახია) გამოვიდა და ფიზიკის ენაზე განმარტა თავისი შესაძლებლობები. ნახევარგამტარებმა კი განაცხადეს: ჩვენმა შემოსვლამ ელექტროობაში ძირითადად შეცვალა ელექტროტექნიკის განვითარება, კოსმიური სივრცის ათვისება, კომპიუტერული ტექნიკის განვითარება და სხვა მრავალიო...

პედაგოგებით (მათემატიკის პედაგოგი ვერიკო ჯიჯელავა, ქიმიის _ ეთერ ახობაძე, ბიოლოგიის _ ლუიზა ლორია) დაკომპლექტებულ ჟიურის სკოლის დირექტორი, თეა კარტოზია ხელმძღვანელობდა, მასში საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძეც შედიოდა. ღონისძიებას საგანმანათლებლო რესურსცენტრის იურისტი, ლილი ფხაკაძეც დაესწრო. საბოლოოდ, ჟიური დილემის წინაშე დადგა _ დიდი ნიჭიერების წარმომჩენ გუნდებს შორის გამარჯვებული ქალაქის გამოვლენა გაძნელდა. _ დღევანდელი ღონისძიება იყო ძალიან კარგი და გამარჯვებულის გამოცხადება გვიჭირსო, გვითხრა ქალბატონმა თეა კარტოზიამ. საბოლოოდ ეთერ ახობაძემ განაცხადა, ვინაიდან შოკისმომგვრელად კარგები იყავით ყველანი, გავითვალისწინეთ მცირედი ნიუანსიც კი და გამარჯვებულად გამოცხადდეს არა რომელიმე ქალაქი, არამედ ერთიანი მეგაპოლისიო. ამ გადაწყვეტილებას დარბაზის დიდი ოვაცია მოჰყვა.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე: "ფიზიკა არ არის მარტივი მეცნიერება, ამ საგანში როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა გამოცდები ადასტურებს, რომ შედეგები გვაქვს დაბალი, ეს სხვადასხვა ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული. დღეს რაც ვნახეთ ფიზიკის მასწავლებლის და მოსწავლეთა მაგალითზე, მოლოდინს გადააჭარბა. ამ შესაშური ენერგიის მქონე საუკეთესო პედაგოგმა საუცხოოდ წარმართა გაკვეთილი, თითოეულ მოსწავლეს არ დაავიწყდება დღევანდელი დღე. ვუსურვებ ქალბატონ მზიას წარმატებებს, ქვეყანას სწორედ ასეთი პედაგოგები სჭირდება."

"ქალბატონი მზია არის უდიდესი პროფესიონალი და საგანზე ფანატიკურად შეყვარებული, სამტრედიის საამაყო პედაგოგია, უნდა, რომ არა მარტო მოსწავლეებს, ჩვენც, პედაგოგებსაც შეგვაყვაროს ფიზიკა. და კიდევ ერთი უმთავრესი რამ: ის არასოდეს მოამზადებს მის მოსწავლეს! ამბობს, მე ისე ვიხარჯები გაკვეთილზე, თუ მოსწავლეს სურს ცოდნის მიღება, მიიღებსო. წარმატებებს ვუსურვებ მას"_ გვითხრა მეორე სკოლის სასწავლო ნაწილმა, ქალბატონმა დარეჯან კინწურაშვილმა.

ის აქ არის...

აზრით.
ფიქრით.
გონებით.
სურვილით.

ეფერება და ესიყვარულება მშობლიურ სამტრედიას, სამტრედიელებს.

არ, ვერ ივიწყებს სამტრედიისა და სამტრედიელების გმირულ, საამაყო წარსულს და არც სხვას აძლევს დავიწყების უფლებას.

ახალგაზრდებს კი, ახალგაზრდებს საოცარი ქრონოლოგიური სიზუსტით ამცნობს უკვე გარდასული დროების, უარყოფილ, თუმცა, ბევრისთვის ტკბილად მოსაგონარ ფარმაციას.

ბატონ მალხაზ კოხრეიძეზე მოგახსენებთ, სამტრედიელთა ყოფილი თავკაცის, ნოდარ კოხრეიძის ვაჟიშვილზე, ოჯახთან ერთად დედაქალაქში რომ ცხოვრობს და ნოსტალგიით ფიქრებაშლილი "სამტრედიის მაცნეს" მეშვეობით ისევ აქაა, ჩვენთან ერთად ხარობს სამტრედიელთა სიხარულით და განიცდის მათ ტკივილს.

არა როგორც რედაქციის თანამშრომელი, როგორც მკითხველი გულისყურით, სიამოვნებით ვეცნობი მის მიერ გაზეთისათვის გამოგზავნილ ყოველ წერილს და შეიძლება ითქვას, რომ თითოეულს ამჩნევია არა პოპულისტის, არამედ ნიჭიერი კალმოსანის ხელი.

არაა ძნელი მისახვედრი, რომ ბატონ მალხაზ კოხრეიძის მიერ გაზეთისათვის გამოგზავნილ წერილთა უმრავლესობა მამის მდიდარ არქივზე დაყრდნობითაა მომზადებული, მაგრამ უდავოდ დასაფასებელია ის შრომა, რაც მის ავტორს, ე. ი. ბატონ მალხაზს უწევს თითოეული წერილისათვის საბოლოო სახის მიცემისას.

საინტერესო ინიციატივა გააჟღერა მალხაზ კოხრეიძემ "სამტრედიის მაცნეში" ამ დღეებში, ნაბაკევში სტურუების სახლ-მუზეუმის გახსნის აუცილებლობაა შიგ არგუმენტებით დასაბუთებული.

სასურველი და მისასალმებელი იქნება, თუ წერილი არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, მით უფრო, რომ როგორც წერილშია ნათქვამი, ამ გვარის ღირსეული წარმომადგენლები, რომელთაც შორს გაუთქვეს სახელი არა მარტო სამტრედიას, არამედ საქართველოს, ამას ნამდვილად იმსახურებენ.

დაბოლოს, როგორც რიგითმა სამტრედიელმა მინდა თავს უფლება მივცე და მადლობა ვუთხრა ბატონ მალხაზს იმისთვის, რომ...

ის აქ არის...
აზრით.
ფიქრით.
გონებით.
სურვილით.
აქ, ჩვენთან სამტრედიაში.

ლევან გაბეჩავა

ვინ და როდის შემოიღონა ჭადრაკი საქართველოში?

არსებობს ორი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ ვის უნდა შემოეტანა ჭადრაკი საქართველოში. პირველი ვერსიის თანახმად, ამ თამაშს სპარსეთიდან კულტურული ურთიერთობის წყალობით ვეზიარეთ, მეორე ვერსიის მიხედვით კი იგი გაგვაცნეს ინდოელმა ვაჭრებმა ან იქიდან გამოქცეულმა ბუდისტებმა,

ჭადრაკის სამშობლოდ ინდოეთია აღიარებული. აქ ჭადრაკი მე-6 საუკუნეში გამოიგონეს.

იმავე საუკუნეში ეს თამაში სპარსეთშიც გავრცელდა, სადაც ჩატრანგის (ოთახის თამაშის) სახელწოდება მიიღო, მაგრამ მალე, მე-7 საუკუნეში, არაბებმა მეზობელი სპარსეთი დაიპყრეს და თავადაც შეიყვარეს მათთვის ახალი თამაში, რომელსაც შატრანჯი შეარქვეს. მე-11 საუკუნეში მან ევროპაშიც მოიკიდა ფეხი.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე თავის ნაშრომში "ცოტა რამ ჭადრაკისა და ნარდის შესახებ", ამტკიცებდა: "ჭადრაკი ჩვენში სპარსეთიდან უნდა იყოს შემოსული. ეს იქიდან ჩანს, რომ ზოგიერთი ტერმინი სპასრულია".

ირკვევა, რომ ქართული ჭადრაკი წარმოიშვა სპარსული ჩატრანგისგან, არ შეიძლება იგი არაბული შატრანჯიდან შექმნილიყო, ვინაიდან არაბებს არ აქვთ ასოები ჩ და გ.

ნინო ტუხარელი

ლექსით მოლელავს გალაკტიონი

ლევან გაბეჩავა

ქართველ პოეტთა მეფეზე, უკვდავ გალაკტიონზე საუბარი არასოდესაა უდროო, უადგილო, მით უფრო მაშინ, როცა წინ 17 ნოემბერია მისი დაბადების დღე.

უბრალოება, სიფაქიზე, ადამიანებისადმი, განსაკუთრებით ახალგაზრდებისადმი პოეტის საოცრად თბილი დამოკიდებულება მის სიდიადეს სხვა სიმაღლეს სძენს.

ცნობილი პოეტის, არნო ონელის მოგონებებს გთავაზობთ, ამჯერად დიდ გალაკტიონზე.

"ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე მწერალთა სასახლეს ვწვეოდი, სადაც გალაკტიონი მეგულებოდა, ვოცნებობდი მის პირად ხილვაზე. მოკრძალებით შევაღე ერთ-ერთი დარბაზის კარი, გალაკტიონი ღიმილით შემეგება, მოვახსენე ჩემი ვინაობა. რაჭველი? სასიამოვნოა და გამიბა მეტად გულწრფელი საუბარი. თქვენ ალბათ ლექსებს წერთ არა? _ მკითხა მოულოდნელად. უმალ უბისკენ გამექცა ხელი. ცოტა ხნის შემდეგ გალაკტიონი ხან ღიმილით, ხან წარბის აწევ-დაწევით ათვალიერებდა ჩემს ლექსებს. უნდა დამიტოვოთ, უსათუოდ დაგიბეჭდავთ ჩემს ჟურნალში, რომლის გამოცემასაც ახლო მომავალში ვაპირებ. უსათუოდ დაგიბეჭდავთ.

...

1923 წელი. ზამთარი, დიღმიდან თბილისს გადმოვედი, ვცხოვრობდი ვარდისუბნის ქუჩაზე, ხშირად ვხვდებოდი მწერლებს, გალაკტიონიც დადიოდა ჩვენთან. შენი ლექსები უკვე სტამბაშია, _ მითხრა ერთ დღეს. მოუთმენლად ველოდი "გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის" გამოსვლას. მალე ამიხდა ოცნება, ვნახე ჩემი პირველი დასტამბული ლექსი "ელეგია", შემდეგ ნომერში დაიბეჭდა "შემოდგომის ესკიზი".

ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა გალაკტიონი.

აჰ, რა კარგ დროს შემხვდი! როგორ მინდოდა შენი ნახვა. აუცილებლად მიიტანე შენი ლექსები "თეატრი და ცხოვრებას" რედაქციაში, იოსებ იმედაშვილთან...

და ჩემი კიდევ რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა.

ასე რომ, გალაკტონ ტაბიძის დახმარებით გადავდგი პირველი ნაბიჯები...

ჩვენ განუყრელი მეგობრობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან.

არნო ონელი

ახლო ურთიერთობა ჰქონდა გალაკტიონს სამტრედიასთან.

"დედაქალაქში მიმავალი ბიძაჩემი სამტრედიაში ჩადიოდა იქ ნაცნობ მეგობრებთან ჩერდებოდა და მერე მატარებლით თბილისისაკენ მიეშურებოდაო" _ გვითხრა 2008 წლის ნოემბერში ჭყვიშში, რედაქციიდან "გალაკტიონობის" გასაშუქებლად ჩასულს პოეტის ძმისშვილმა, პროფესორმა ბატონმა ნოდარ ტაბიძემ.

ამაოდ არ ჩაუვლია გალაკტიონის ურთიერთობას სამტრედიასა და სამტრედიელებთან, ამის დასტურია პოეტის ლექსი.

"შენთვის არავის უძღვნია ლექსი,
რომ ვერ გამჩნევენ ალბათ ბედია.
შენ ხომ სახელად ატარე დაბა _
თან მხოლოდ დაბა და სამტრედია.
წინათ ბორბლები დილიჟანსების
გაიძახოდნენ: ტობა, საჩინო.
ეხლა კი მინდა უზარმაზარი
შენში ქალაქი აღმოვაჩინო.
ინდუსტრიული დროის სიმბოლო!
ინდუსტრიული დროის რეფლექსი!
პოეტებისთვის ჩემგან პირველად _
აღმოჩენილი ქალაქი-ლექსი!"

17 ნოემბერი გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეა.

მარად ჩვენი თანამედროვეა პოეტი.

გალაკტიონ ტაბიძე საიუბილეოში (1940 წ).

მარიამ გარიყულის მოგონებები გალაკტიონზე

ამ წერილის ავტორი მარიამ გარიყული, ძველ სამტრედიაში კარგად ცნობილი ვასილ რატიანის ოჯახის რძალი გახლდათ. იგი ჩვენს ქალაქში 1900-იან წლებში ჩამოვიდა და გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა. აქტიურად იყო ჩართული მის კულტურულ და საზოგადოებრივ ყოველდღიურობაში. იმ პერიოდში მისი ინიციატივით, ძველ სამტრედიაში სამკითხველოც გაიხსნა.

დიდი გალაკტიონის დაბადების დღის მოახლოებასთან დაკავშირებით, გთავაზობთ მარიამ გარიყულის მოგონებებს მეფე-პოეტზე.

მარიამ გარიყული და გალაკტიონი

მე კარგად მახსოვს ის დრო, როცა გალაკტიონი პოეტების მეფედ აღიარეს. და განა რაიმე დადგენილებით? არა, მხოლოდ თანამედროვეთა შორის მიმოხედვა დასჭირდა ამას. მე ხომ თითქმის ყველას ვიცნობდი ჩვენს მწერლობაში ვინც კი იყო, ზოგთან უშუალო მეგობრობა მქონდა, ზოგთან თანაკალმური. ჰოდა, ახლა უკლებლივ ვიგონებ მათ. ყველა მათგანის სილუეტი წარმომიდგება, ვიხსენებ და მინდა მთელი სისრულით და სიცხადით აღვადგინო მათი სახეები, ერთმანეთს შევადარო და ამასობაში განვასხვავო კიდეც ისინი. და აი, ვეძებ, მაგრამ იმაზე რთულ პოეტს _ პიროვნებას, როგორც გალაკტიონი იყო, მე მეორეს ვერ ვპოულობ. გალაკტიონთან მეტად ადრეულ ნაცნობობას და იქიდან მომდინარე მეგობრობას რომ თავი დავანებოთ, მასზე სათქმელად ისიც კმარა, რომ ჩვენ ცხოვრების უკანასკნელი ოცდახუთი წელი ერთ სახლში გავატარეთ. ეს ისეთი დიდი რამაა, რომ თუკი ადამიანს ოდნავ რისიმე უნარი აქვს, მან უნდა შესძლოს მცირეოდენი რამ მაინც თქვას გალაკტიონზე.

მე ყოველთვის მაოცებდა გალაკტიონის ლექსი _ მისი ფორმაც, წყობაც, მასში მოქცეული განწყობილება და განსაკუთრებით ის შორეული მუსიკა, რომელიც მის პოეზიას უბრალოდ კი არ ახლდა, არამედ პოეტის დიდი ჩანაფიქრიც იყო.

ვინც გალაკტიონს პირადად იცნობდა, არ შეიძლება არ შეენიშნა ის მთლიანობა, რაც გალაკტიონსა და მის ლექსებს შორის იყო. მამა-შვილივით გვანდნენ ერთმანეთს გალაკტიონი და მისი ლექსები. ერთი სიტყვით გალაკტიონის ლექსი მხოლოდ და მხოლოდ მისებური იყო.

გალაკტიონს გულჩათხრობილობა და გულღიაობა ჩვეოდა. იგი მოღრუბლულიც იყო და სხივმოსილიც. პატივმოყვარეობაც საკმაოდ გამოსჩანდა მის მთრთოლვარე ხასიათში, მაგრამ ხომ ყველამ იცის, რაოდენად გამართლებული და აზრჩადებული იყო მისი თვისებების ეს მხარე? ადრეც აღვნიშნავდი და ეხლაც ვიმეორებ, რომ მოაზროვნეს უფლება აქვს, სხვათა შორის, თვითონაც აფასებდეს თავის თავს და პატივმოყვარე იყოს იმ ზომით, როგორც გალაკტიონი იყო. მასთან გასაუბრებისას მე, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ გალაკტიონს პირად ცხოვრებაში მხოლოდ ქართული ლექსის ამაღლების განუზომელი სურვილი და მასზე ზრუნვა ამოქმედებდა. ქართული პოეზიისათვის ყველა მნიშვნელოვან მომენტს ეპოქის დასაწყისად ან დასასრულად თვლიდა გალაკტიონი და აკი ამიტომაც თქვა:

"წიწამურში რომ მოჰკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი".

გალაკტიონს მისი სახელის უბრალოდ ხსენებაც კი, რაღაც წარმოუდგენლად ახარებდა და ზოგჯერ ბავშვურ უშუალობამდისაც მიჰყავდა.

ბევრი რამ ნამდვილად გაუგებარი და ჩამაფიქრებელი იყო გალაკტიონში. მისი და ჩემი აივნის ფანჯრები ოცდახუთი წლის მანძილზე გვერდიდან შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ხანდახან გავიხედავდი გალაკტიონის მხარეს და იქ ჩასადგურებული იდუმალებისგან შიშის ქროლვა დამივლიდა. მაშინ ჩემს წარმოდგენაში მის ბინას საუკუნეებით მიტოვებული ციხე-კოშკის ელფერი ჰქონდა გადაკრული და მიკვირდა რად იყო, რომ ამ მეტად ფართო ურთიერთობის კაცის სახლში მეგობრულად, ოჯახურად, ადამიანურად, ისე როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე, არავის შეუხედავს. მან ხომ ხშირად იცოდა მეზობლური მონახულება დროის რა ჟამიც არ უნდა ყოფილიყო? ალბათ ესეც გალაკტიონის ხასიათის ერთი ნიშანი იყო. არ ვიცი ვინმეს უნახავს თუ არა გალაკტიონი ცრემლმომდგარი; მე კი ორჯერ შევასწარი თვალი მას ასეთს. ერთხელ, ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტში, როცა ღრმად ჩაფიქრებულს ჩვენი სახლის წინ შევხვდი და ვკითხე, თავს რა ადგა, ხომ არაფერი ჰქონდა შეტყობილი. გალაკტიონს ცრემლები შეუგუბდა, შემდეგ ღაპაღუპით გადმოსდიოდა ძნელად შესაძრნევ ნაყვავილარ ლოყაზე და როგორც იცოდა, თვალებისა და სახის მიმოქცევით წყვეტილ-წყვეტილად, თითქმის ტირილნარევი ხმით მითხრა: _ "ჰო, მა-რი-ამ, წუხელ გა-ვა-ცი-ლე, წა-ვიდა, ვნახავ კი ო-დეს-მე?" გალაკტიონი მის უახლოეს მეგობარს ოლიას დაშორებოდა. ათი წლის შემდეგ მე ასევე აცრემლებული ვნახე გალაკტიონი, გიორგი ქუჩიშვილის კუბოს თავთან შეჩერებული. მივხვდი, რომ მას კაცთა შორის არავისზე ისე გული არ დასწყვეტია ცხოვრებაში, როგორც გიორგიზე... მე ისიც ვიცი, რომ მას ყველაზე ახლობლად გიორგი მიაჩნდა.

ომის წინა თვეები იყო... კარებზე მომდგარმა, არც კი შემოუხედავს სახლში, ისე შემომძახა: _ "მარიამ დღეს ჩემი საღამოა და დამესწარიო". კარების სახელურში გამოდებულ მოსაწვევ ბარათს დავხედე და რომ გავიგე საღამო მშრომელებისთვის იყო მოწყობილი, მეტის სურვილით წავედი და პატარა სიტყვაც კი მოვამზადე.

როცა გალაკტიონი ასე გულისდამდუღვრელად განგვშორდა, მე ჩემი მიმობნეული არქივი გადავქექე და თვრამეტი წლის გაყვითლებული ქაღალდები გამოვძებნე. გადავხედე, კიდევ გადავხედე და არც კი შემიფასებია, უეცარი სიკვდილით გამოწვეული მწუხარების გამომხატველი ორიოდე სიტყვა წავუმატე და ისე ჩავრთე მოგონებათა მწკრივში.

აი ესეც:

"ძვირფასო გალაკტიონ!

შენ დაიბადე, ალბათ, ისეთ დროს, როცა შენს პატარა ეზოში ატამი ჰყვაოდა, რადგან მისი სურნელება უხვად აფრქვევია შენს ლექსებში.

ან დაიბადე, როცა მწიფე ყურძნით დაზვინული ვაზები ძირს იხრებოდნენ და მარანში დუღდა მაჭარი, რადგან უღვთოდ გვათრობს ლექსი შენი;

ან პაპანაქება ზაფხულში, რადგან ლექსი შენი ცეცხლს უკიდებს კაცის გულს; ანდა ზამთარში, როცა თოვდა "იისფრად თოვდა" და ამ თოვამ "შეგვაყვარა თმენა უსაზღვრო".

"მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა..."

ერთი კია, რომ დაიბადე ათას რვაას ოთხმოცდათორმეტს, არ მოსწრებიხარ შენს მშობელ მამას, სოფლის ამაგდარს და მასწავლებელს, მაგრამ "ყველას ხომ რამ აქვს დანატოვარი?" და აი, მისგან დანატოვარმა წიგნთსაცავმა დედის ძუძუსთან ერთად გაწოვა სიცოცხლისა და პოეზიის ტკბილი ნექტარი.

პაწაწინა ბიჭიკომ დედის კალთაში შეისწავლე "აი, ია" და ათი წლისამ პოეზიის ღმერთთან ილაპარაკე.

შენს ეზოსა და სოფლის სასაფლაოს დაბალი ღობე საზღვრავდა. ღობის ძირას ამოზრდილ ბალზე ხშირად იჯექი ფეხშიშველა ბიჭუნა და დაჰყურებდი ხან სამარეთა ქვებს, ხან შენს ჭიშკართან ჩამომდინარე მღვრიე რიონს.

"ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი
არ გაიარე _ რაა მამული..."

ვინ უწყის, შენს პატარა სულსა და გულში რაოდენი ნაღვლიანი შეგრძნობანი იშლებოდა?

და იქნებ ბავშვობის განცდებმა "მესაფლავე" დაგაწერინეს?

პირველი ლექსის შემდეგ ხელი კალმისათვის არ შეგიშვია და პოეზიის დიდ ტაძარში ისეთ გოლიათად შემოიმართე, რომ დღემდის ჯერ ვერავის გაუსწორებია თვალი შენთვის.

ძვირფასო ამხანაგო! კარგა ხანს მოგდევდა სულის სიობლე და ამბობდი:

"ჰეი გაიღვიძე, ქარო ძლიერო
გამოადვიძე მიდამო მკვდარი,
გასწი, უამბე ადამიანებს
ჩემი ოცნება მიუსაფარი".

და თუ მათ შორის გამოჩნდება თუნდ ერთი, ვინც გამიგებს, ისიც დიდიაო.

შენი ტკბილი და ნაღვლიანი ლირიკა შენთან ერთად შენს მკითხველსაც აღონებდა: ტანზე ნაბადშემოხვეული, სასომიხდილი, ქვიტკირის კედელს მიყრდნობოდი... იმ ღამეს მერი ჯვარს იწერდა... ოო, ეს ქარიშხალი დიდხანს ბორიალობდა შენს სულში, დიდხანს გახელებდა, მაგრამ შენი ნიჭი ხომ მარტოოდენ ამ გრძნობისათვის არ იყო განკუთვნილი?

სხვა მოწოდებაც იყო შენში, სხვა ცეცხლიც ენთო შენს გულში!

შენ მოიარე საქართველოს ყოველი კუთხე, გაეცანი და შეისწავლე თანამემამულეთა ყოფა და საკაცობრიო სატკივარს შეუწონე მათი სატკივარი.

მადლიერმა ხალხმა დაიფასა, ღირსეულ სიმაღლეზე აგიყვანა.

მაგრამ ვაი, რომ მუხთალმა ბედმა დაუნდობელი სარმა გამოჰკრა ქართულ პოეზიას და დაიობლა.

"მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე,
ვინა სთქვა შენი გარადაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.
მიდიხარ... აღარ დაგვემდურება
არც მიწიერი, არც ზეციერი,
ვინა სთქვა შენი უბედურება?
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.

***

მიდიხარ...
შენს ბედს ბევრი ინატრებს
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არის,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი".

გალაკტიონ! გჯეროდეს, სანამ იქნება ქვეყნად ქართული მეტყველება, შენ, შენ ხალხთან ხარ".

ცხოვრების უცნაურობაა, რომ კაცი დიდ თანამედროვეს მაშინ ვერ აფასებს, როდესაც მას ყოველდღიურად შენს გვერდით უყურებ, თორემ ისე, დიდი სიცოცხლე ისაა, როცა იგი სრულდება, მის სანაცვლოდ და შემავსებლად იქვე, მის ძირშივე, ახალი სიცოცხლე ჩნდება.

მარიამ გარიყული

ეს სტროფი ახლა მაწვება სულზე

მეტად მრავალფეროვანია თემურ ჭახნაკიას პოეტური მონაგარი.

ახალგაზრდა პოეტის შემოქმედების წარდგინება მწერალთა კავშირში უკვე შედგა. უამრავი აპლოდისმენტი და მოწონება დაიმსახურეს ნიჭიერი პოეტის ლექსებმა. მისი შემოქმედება ცოტა ხნის წინ "სამტრედიის მაცნემ" თავის მკითხველებსაც გააცნო. პოეტმა ახლა საკუთარი ლექსები გამოგვიგზავნა. სიამოვნებით ვასრულებთ მის თხოვნას და გაზეთის ფურცლებს ვუთმობთ ახალგაზრდა პოეტს.

პოეტივით სუფთა და ხალასია მისი ლირიკა, აღბეჭდილი სიყვარულის უფაქიზესი განცდებით, სამშობლოს ღრმა გაზრებით. მშობლიური სოფლური იდილიის ლექსში გაცოცხლება მეტად ხელეწიფება ნიჭიერ პოეტს. ის ძირითადად კონვენციურ ლექსებს წერს, მაგრამ მშობლებისადმი მიძღვნილი მისი ვერლიბრიც შთამბეჭდავი და ემოციურია...

ნათია ნაცვლიშვილი

არ შემიძლია

ჩემს სახლში ბოლო ნათურა ჩაქრა,
მთვარე ელვარებს, ცაზე ნისლია,
დასანანია, რომ გულში ჩაკვრა
შენი, ძვირფასო არ შემიძლია.
მსურს, შენი ხელი ხელში მეჭიროს,
არ ჩამივარდე ტრფობის ნავიდან,
შენ უჩემობას, რომ შეეჩვიო,
მე უშენობას ვერ გადავიტან.
ქარია, ფანჯრის თამაშობს მინა,
ცამ ვარსკვლავებით სიბნელე მორთო,
შენმა თბილმა ხმამ დამაშოშმინა,
ცა იქუფრება, ამ ღამით მოთოვს.
ჩემს სახლში ბოლო ნათურა ჩაქრა,
მთვარე ელვარებს, ცაზე ნისლია,
დასანანია, რომ გულში ჩაკვრა
შენი, ძვირფასო არ შემიძლია.

უპოეზიოდ

ქარის სიმძლავრე ვუპოვე სიოს,
ღრუბლიდან თქეშის მომასკდა ჭავლი,
ცხოვრებას ვერ ვთვლი უპოეზიოდ
გაცვეთილ დღეებს, ულექსოდ ჩავლილს.
ხშირად ვმასპინძლობ მაჟორს და მინორს,
შევხარი ზუსტი რითმების ვარვარს,
სტრიქონი უკრავს მზის ვიოლინოს,
ლექსებს ვწერ, მაგრამ პოეტი არ ვარ.
შევდივარ წლებში ბრმა დროის ეტლით,
მთრგუნავს ცხოვრება კუშტი და მკაცრი,
მე ყველა ლექსში სიწრფელეს ველტვი,
მგოსნებს დროის ღრმა საცერი გაცრის.
თავს წერით დაღლილს ვგრძნობ ქაოსურად,
ვიხადე ლექსთა ძვირფასი ხარკი,
ვუმზერ დღენაკლულ ცხოვრების სურათს,
რომ მჭყლეტს მტევნისებრ ბედის ჭახრაკი.
ვაფრქვიე ბნელში შუქი მზის ჭაღმა,
ცივ მიწას შეხვდა სხივები მზიდან,
სიკვდილი თუკი მომართავს ჩახმახს,
მე პოეზიის საუნჯე მზიდავს.

***

ფიქრი შევწყვიტე და გავისუსე,
ტკივილო, ნეტავ როდის გამივლი,
ეს სტროფი ახლა მაწვება სულზე,
ახალშობილი ბავშვის გვამივით.
განვიცდი, ვღელავ, რაღაცა მიჭირს,
საკუთარ თავს ვერ ვუსვამ დიაგნოზს.
ახლა ვარ ერთი სოფლელი ბიჭი,
ხვალ ჩემში პოეტს უნდა მივაგნო.
მზეს გუშინდელზე მეტი აქვს სითბო,
გზას ფარავს თოვლი, წვრილად გაცრილი,
მიმასვენებენ, ჩემს ცხედარს თითქოს,
მეც უკანასკნელ გზაზე ვაცილებ.
ჯანღმა დაფარა სალი კლდის წვერო,
მუდმივად ვებრძვი დარდის ქიმერებს
და ალბათ ლექსებს იმიტომ ვწერ, რომ
ჩემში დაბმულ მხეცს ვათვინიერებ.
ავყურებ ზეცის მომნუსხველ ლივლივს,
ცის ფსკერზე ნაპოვნ იმედებს ვუმზერ,
ჯერ ცოცხალი ვარ და კიდევ ვივლი,
ამ დედამიწის ხორკლიან ზურგზე,
სანამ ძარღვებში სისხლი მიფეთქავს,
ნაკადულივით გულში რაკრაკობს,
კიდევ ბევრი რამ მინდოდა მეთქვა,
მაგრამ ვდუმვარ და ვერ ვლაპარაკობ.

***

იმედის ფრთები სევდამ დახვრიტა,
ეჰ, როგორ გწუხვარ, ჩემო კალიფსო,
ვდგები ღვთისმშობლის ხატთან და ვხრი თავს,
ვდგავარ მოწყენით და უხალისოდ.
არ ჩანს, არც ზეცა და აღარც მიწა,
მინდა, იქ ვიყო, მაგრამ იქ არ ვარ,
ღმერთო უშველე! ღმერთო დამიცავ!
ლოცვამ წუხილი არ გამიქარვა.
რისთვის მოვედით, თუკი მივდივართ,
ასე სწრაფად და ასე უკვალოდ?!
თითქოს ვიშლები, თითქოს ბინდი ვარ,
ჩვენ მალე მოვალთ, დაგვხვდი, უფალო.
თუკი სიკვდილი წამართმევს მის თავს,
ღმერთს, ვკითხავ: _ ღმერთო, რისთვის დაგვსაჯე?
თუ გამიგონა, თუკი ხმა მისწვდა,
იგივეს ვკითხავ ათი ათასჯერ.
მაგრამ, მე ვიცი, ვიცი, რომ პასუხს,
არ გამაგონებს არც ერთხელ ღმერთი,
რადგან მან იცის დუმილის ფასი,
მე ათასი ვარ და თვითონ ერთი.
ხალხმა რა იცის, რა ცეცხლით ვიწვით,
რომელი ცეცხლი გვფუფქავს და გვნაცრავს,
ბედს თუ დავნებდი, უდავოდ ვიცი,
ის მომეპყრობა ხისტად და მკაცრად.
მე ვისმენ სამყაროების ქუხილს,
თვალდახუჭული წევხარ და გიმზერ,
ვხედავ, იმსხვრევა ოცნების ქოხი,
და ვრჩებით სიკვდილ-სიუცოცხლის ქიმზე.
ჩვენ ამ გრიგალში რას გადავრჩებით,
ეჰ, რა უგულო გამოდექ ბედო,
მე გავამტვრიე მინის ფანჯრები
და ცრემლიანი დავაკვდი ბეტონს.

ჩემო სოფელო

სხედან გლეხები და ხარობენ მორჩენილ მოროდს,
ქორფა ალერდმა შეაფრქვია მშვიდ ცას ალმური,
ცხოვრების ხნულში დღე არ გადის უიუმოროდ,
შაშვის გალობა მესმის, როგორც ხმა სალამურის.
გრძელ ტალავერზე დაქანაობს ზანტად კიმელი,
ნედლი მინდორი უმასპინძლებს უბელო ჭაკებს,
მნატრობს სოფელი, სათნო დედა, ვიცი, კი მელის.
ჩხენიშის ქარი ნისლებს აშლის, ზეცის ლეჩაქებს.
ვხედავ, ჭალაში მარჯვე კაცთა გამრჯე ლეგიონს,
ვერხვის გრილ ჩეროს შეეფარნენ და სხედან გარეთ,
მამაჩემს, ვგრძნობ, რომ უსურდოს და უალერგიოს
ძარღვში უღელავს წითელ ღვინის ღრმა სიანკარე.
სექტემბერში რომ კუხე მტევნებს ამწიფებს ზვარი,
რკინის ჭახრაკში გავატარეთ ყურძნიან კუფხალს,
ქუში ღრუბელი ფრთებს გაიშლის _ უენო მგზავრი,
ზეცის ბუდეში ქათამს მოჰგავს, კუშტი, ნაკრუხალს.
დაჭყლეტილ ჭაჭას საწნახელში ერთბაშად ჩავყრით,
ათი დღის შემდეგ გადავწურავთ ღვინოს ყვიბარში,
უსკდებათ ჭუკებს ცხელი კლერტით სავსე ჩიჩაყვი,
"კუხნის" წინკარში შემოსულებს უმალ ვყრი გარეთ.
მინდვრიდან მხდალი ბეღურები აშალა მურამ,
რკინის მესერთან მზე შეათბობს ტურფა ენძელებს,
მე ძმაბიჭებთან ლხინით დავლევ ცივ შალამურას,
საქართველოს და გლეხის მარჯვენს სულ ვადღეგრძელებ.
ვიხსენებ ახლა ნაღვლიანი ცელქ სიჭაბუკეს,
ასეთ ფიქრებში მივეცემი ტკბილ განცდის მაჟორს,
თუ ქართველი ხარ, უნდა გქონდეს მხნეს სიჩაუქე,
ჩემო სოფელო, რა ახლოს ხარ და თანაც რა შორს.

პროზლიბრი დედაზე

უბრალო ქალია დედაჩემი,
მშრომელი კაცის ერთგული ცოლი
და ორი შვილის მზრუნველი დედა.
მამაჩემთან ერთად ეწევა ცხოვრების ჭაპანს,
ჰო, ყოველ დილით ადრე დგება დედაჩემი,
იცვამს საშინაო, გახუნებულ ტანსაცმელს
და რეზინის დაბალყელიან ბოტებს,
საქათმის ქანდარიდან გამოფრენილ ქათმებს
საკენკს დაუყრის,
შემდეგ შედის ფერმაში და
მარჩენალ ძროხებს წველის,
და სანამ მამაჩემი ბაგას გაწმენდს, გადმოხვეტს იატაკს,
ძროხებს დაასამუნელებს,
და სანამ მამაჩემი საძროხედან ნაკელს გადაყრის,
ბაგიდან აშვებულ ფურებს კი საძოვარზე გადენის,
დედა თუნუქის სავსე სათლით ქაფქაფა რძეს გადმოიტანს,
სუფთა ბადეში გაატარებს,
ბუხარს აანთებს ეკლის შეშით,
გაჭვარტლულ სამფეხზე დადგმული
ალუმინის ქათქათა ქვაბით რძეს აადუღებს
და ყველს ამოიყვანს.
ასე ცხოვრობენ დედა და მამა,
თესავენ ყანას, ერთად თოხნიან,
ერთად ჭრიან,
ერთად ტეხენ, ერთად იწევენ მოსავალს,
ერთად ტკივათ და უხარიათ,
ერთად იწყენენ და ერთად იცინიან.
ერთი უბრალო, სოფლელი ქალია დედაჩემი,
არ აქვს დედაჩემს მანიკურიანი, გრძელი ფრჩხილები
და საღებავებით შეღებელი თმა.
არ აქვს დედაჩემს ატლასის კაბა და კურდღლის ბეწვიანი ლამაზი შუბა.
შვილებისა და ქმრის სიყვარულით ბრწყინავენ
დედაჩემის ნაღვლიანი, მწვანე თვალები.
სტუმართმოყვარეა დედაჩემი,
ქართული, ტრადიციული ოჯახის მარჯვე დიასახლისი,
ბევრ სტუმარს უმასპინძლდება.
უყვართ ჩემს სახლში მოსვლა ახლობლებს და ნათესავებს.
გემრიელ ხაჭაპურს აცხობს დედაჩემი.
თაფლივით ტკბილი გული აქვს დედაჩემს.
ჩვენ შვილები დედის რძით გავიზარდეთ,
ჩვენ შვილებს დედა გვეჯდა სკოლის მოსწავლეობის პერიოდში სამეცადინო მაგიდასთან,
ჩვენ შვილებს დედა გვიუთოვებდა საგარეო პერანგებს და სხვა ტანისამოსს.
ჩვენ შვილებს დედა გვიდუღებდა ქაფქაფა რძეს, სკოლაში წასვლამდე.
ჩვენ შვილებს დედა გვიწყრებოდა და გვეალერსებოდა.
ჩვენ შვილებს არასდროს მოგვშივებია და შეგვცივებია,
ჩვენ შვილებმა განათლება მივიღეთ, მაგისტრის ხარისხი.
ჩვენ დედა გვზრდიდა,
ღვთისმშობელივით ლამაზი და უბრალო ქალია დედაჩემი,
მშრომელი კაცის ერთგული ცოლი
და ორი შვილის მზრუნველი დედა.
აგერ უკვე ოცდაშვიდი წელია.

საბა კვირკველიას

მატჩია და უყურებენ,
ბურთის კენწვლით, როგორ მორბის,
შესაშური დრიბლინგი აქვს,
მხრის და თავის მიმკვრელია,
რუბინი ხომ ასახელა,
ახლა შვენის ლოკომოტივს,
ქართველია, კოლხის სისხლის,
ჩვენი საბა კვირკველია.
მოატყუა ფორვარდები,
მოაქვს ბურთი და მოძვრება,
მისი სტილი, დარტყმის ძალა,
ფრიად გასაკვირველია,
ტრიბუნიდან ხალხის ტაში
და ტრენერის გაოცება,
ცაში კრძალვით ღმერთს აჰყურებს,
ჩვენი საბა კვირკველია.
ხალხი მისთვის არ იშურებს
გულმხურვალე ოვაციებს,
გუნდის სიამაყე არის,
ძლიერი და პირველია,
გამარჯვებულ გუნდის ლიდერს,
ტაშის ექო მოაცილებს,
მაღალს, ტანადს, რომ შენიშნავთ,
არის საბა კვირკველია.
ასმაგად და ათასმაგად
დაგიბრუნოს უკან ღმერთმა,
მეგობრებში, რაც სიკეთე
გითესავს და გიქველია,
შენს ნიჭს დიდი ფეხბურთელის,
აღიარებს ყველა ერთხმად,
სამტრედიის სიამაყე,
ჩვენო, საბა კვირკველიავ.

თემურ ჭახნაკია

კვლავ წარმატება

2017 წლის 3-4 ნოემბერს ქალაქ თელავში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ბავშვთა და მოზარდთა შორის კიოკუშინკაი კარატეში. მასში მონაწილეობდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრები (დირექტორი ბატონი ივანე კილტავა. მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი _ მიხეილ ქანთარია). ტრადიციულად წარმატებით იასპარეზეს გოგონებმა, რომლებიც ასევე ტრადიციულად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ჩემპიონის ტიტული და პირველი ადგილი მანანა მუქერიას, ხოლო მარიამ გოგიტაურს მეორე საპრიზო ადგილი ხვდათ წილად.

ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ medlებით, დიპლომებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით.

მანანა მუქერიამ და მარიამ გოგიტაურმა მომავალი წლიდან ადგილი დაიმკვიდრეს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში.

აღსანიშნავია, რომ კარატეს ჯგუფის წევრებმა 2017 წელს წარმატებით იასპარეზეს სხვადასხვა შეჯიბრში. მათ 10 ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და ათივეში მნიშვნელოვანი წარმატებით.

1. მსოფლიო თასის ჩემპიონატი _ იაპონია _ ოკინავა. მე-3 საპრიზო ადგილი იაპონია.

2. ეროვნული ჩემპიონატი ქ. თბილისი. პირველი ადგილი: მანანა მუქერია. მეორე ადგილი მარიამ გოგიტაური.

3. სომხეთის თასის ჩემპიონატი, ქ. ერევანი, 1-ლი ადგილი _ მანანა მუქერია, მე-2 ადგილი _ მარიამ გოგიტაური.

4. სომხეთი, "ოიამას თასი" ქ. გიურმი. პირველი ადგილი მურმან დერბიში, მეორე ადგილი _ თორნიკე გაგუა.

5. აჭარის ჩემპიონატი ქ. ბათუმი. პირველი ადგილი მანანა მუქერია, მეორე ადგილი მარიამ გოგიტაური.

6. საერთაშორისო ჩემპიონატი. თბილისი. "კავკასიის თასი".

პირველი ადგილი მანანა მუქერია, მეორე ადგილი _ მარიამ გოგიტაური.

7. ევროპის ჩემპიონატი _ რუმინეთი _ ქ. ტულკია.

8. საერთაშორისო ჩემპიონატი ქ. თბილისი _ "კავკასიის თასი". მესამე ადგილი თამარ ბიბილეიშვილი.

9. საერთაშორისო ჩემპიონატი, სომხეთი _ ქ. ერევანი.

პირველი ადგილი მარიამ გოგიტაური.

მეორე ადგილი მანანა მუქერია.

10. საქართველოს ჩემპიონატი 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის. ქ. თელავი.

2017 წელი ამ მიღწევებით გახლდათ მნიშვნელოვანი. იმედი გვაქვს, კიდევ უფრო დიდი მიღწევებით გავახარებთ სამტრედიას.

ივანე კილტავა
სპორტსკოლის დირექტორი

მე-11 საჯარო სკოლის ფრენბურთელების გამარჯვება

ნინო ნანიტაშვილი

მეორე წელია, განათლებისა და კულტურის სამინისტროების ერთობლივი პროექტის ფარგლებში სასკოლო ოლიმპიადები ტარდება. სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებები სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებულ სკოლებსა და სპორტულ მოედნებზე ჩატარდა. რაც შეეხება ფრენბურთს, ლოკაციის ადგილი სამტრედიის ქალაქის მე-11 საჯარო სკოლა იყო.

"2018 წლის სასკოლო ოლიმპიადა" დაიწყო 2017 წლის ნოემბერში და 2018 წლის მაისის ბოლომდე გასტანს.

მასში მონაწილეობა მიიღო ვაჟების გუნდით დაკომპლექტებულმა 8 სკოლამ, გოგონების _ 4-მა სკოლამ. შეჯიბრება ჩატარდა ოლიმპიური სისტემით, რაც გულისხმობს წაგებული გუნდის ასპარეზობიდან გავარდნას. სამტრედიის მე-მე-11 საჯარო სკოლის გოგონებისა და ვაჟების ორივე გუნდმა დამსახურებული პირველი ადგილი მოიპოვა.

სასკოლო ოლიმპიადას ხელმძღვანელობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა (დირექტორი ვანო კილტავა).

გამარჯვებულ ფრენბურთელებს საპატიო დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. მე-11 საჯარო სკოლის ფრენბურთელებმა იმერეთის ჩემპიონატში მონაწილეობის მიღების საგზურები მოიპოვეს.

სასკოლო ოლიმპიადების მნიშვნელობაზე "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარი გააკეთა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სამტრედიის ფრენბურთელ გოგონათა ნაკრების გუნდის მწვრთნელმა, მე-11 საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელმა, მანანა ტყეშელაშვილმა: "სასკოლო ოლიმპიადები, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში წელს მეორედ ჩატარდა, ხელს უწყობს ჯანსაღი წესით ცხოვრებას და ამავე დროს ფრენბურთის პოპულარიზაციას უწევს. სპორტის ამ სახეობაში სამტრედიას დიდი ტრადიცია აქვს. გვყავს საქართველოს 10 გზის ჩემპიონი გუნდი "ჯიკო". მეც სწორედ იქიდან მოვდივარ, ჩემი პირველი მასწავლებელი ნუგზარ მიქაძე დღესაც აგრძელებს მოღვაწეობას და საქართველოს ნაკრებს ნიჭიერ და ძლიერ ახალგაზრდებს უზრდის. მადლობას ვუხდი ჩემი სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლენა ხაჟალიას. მან ყველა პირობა შეუქმნა მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეებს, ჰქონდეთ წარმატება სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამის დასტურად შემიძლია, დაგისახელოთ ნინო კვერნაძე და ზინა ქაჯაია. 2004 წელში დაბადებული გოგონები საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრების წევრობის კანდიდატები არიან."

პომპონიანი ქუდი _ "ეპიზოდი"

ზამთრის პირობებში ქუჩაში მრავლად ვხვდებით ხოლმე ადამიანებს, რომელთაც თავზე პომპონიანი ქუდი ახურავთ, თუმცა, ალბათ, არც კი დავფიქრებულვართ, რა გახდა მიზეზი ქუდზე ბეწვის, ძაფისა და სხვა ნივთიერებებისაგან დამზადებული პომპონის დამაგრებისა. ფაქტია, რომ ადამიანი ტყუილუბრალოდ არაფერს ჰქმნის. ასევეა პომპონიანი ქუდის შემთხვევაშიც. საქმე იმაშია, რომ ისტორიის ადრეულ ეტაპზე (XVIII საუკუნეში) საფრანგეთში აგებულ სამხედრო ხომალდებში კომფორტის არსებობაზე დიდად არ ზრუნავდნენ. ხომალდების უდიდესი ნაწილი დაბალჭერიანი იყო, რაც თავის მხრივ, მეზღვაურებს დიდ დისკომფორტს უქმნიდა. იმისათვის, რომ მეზღვაურები ჭერზე თავის არტყმისაგან დაეცვათ, ფრანგულ ხომალდებზე ფართოდ იქნა გავრცელებული თავის გატეხვის პროფილაქტიკური საშუალება _ პომპონიანი ქუდები. შესაბამისად, ადამიანის ტანისამოსის ეს შესანიშნავი ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, ფრანგი მეზღვაურების თავის დასაცავად იქნა შექმნილი.

Genia.ge.

ნაპოლეონ ბონაპარტესა და ადოლფ ჰიტლერს მისტიკურად აშორებდა 129 წელი

ადოლფ ჰიტლერი ნაპოლეონის დაბადებიდან 129 წლის შემდეგ დაიბადა, გერმანიის ლიდერი გახდა ნაპოლეონის ხელისუფლებაში მოსვლიდან 129 წლის შემდეგ, რუსეთში შეიჭრა ნაპოლეონის რუსეთზე თავდასხმიდან 129 წლის შემდეგ და დამარცხა ნაპოლეონის მარცხიდან 129 წლის შემდეგ.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია
თანაუგრძნობს კახა მახარაშვილს
დედის
გარდაცვალების გამო

ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, შრომის ვეტერანი

სამსონ მესხი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მიხეილ მესხსა და ქეთევან ფანცულაიას მამისა და მამამთილის, ბატონი

სამსონ მესხის

გარდაცვალების გამო.

ბატონ კახა კალაძეს!

ცნობილი ფეხბურთელი, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა საქართველოს დედაქალაქ თბილისის მერად აირჩიეს. გულწრფელად გილოცავთ თქვენ, ბატონო კახა და თქვენს მშობლებს, ქალბატონ მედეასა და ბატონ კარლოს. გვწამს ისეთივე წარმატებული მერი იქნებით, როგორიც სპორტსმენი.

წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებაში, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

პატივისცემით: შალვა ლომინაძე
დიდი ჯიხაია

ვულოცავთ!

დემურ მიქაძე 75 წლისაა!

გენერალ დემურ მიქაძეს 75 წელი შეუსრულდა.

კაცი სიყვარულის, ძმობისა და მეგობრობის ეტალონი, გვეამაყება, რომ იგი ჩვენი მიწა-წყლის შვილია. სამტრედიასა და სამტრედიელებზე უზომოდ შეყვარებული. პიროვნება, რომელსაც სიყვარულით "გენერლების გენერალს" ვუწოდებთ. სამოქალაქო გენერლის წოდებაც რომ არსებობდეს, მასზე ეს წოდებაც სრულიად იქნებოდა მისადაგებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მოღვაწეობისას მას არასოდეს უღალატია არც იურიდიული და არც ცხოვრებისეული კანონებისათვის.

დიდია მისი სამეგობრო, ეს კიდევ ერთხელ წარმოჩნდა მისი იუბილისადმი მიძღვნილ წიგნში "სამშობლოს სამსახურში".

მრავალ სახელმწიფო თუ სხვა სახის ჯილდოთა მფლობელისათვის ყველაზე მთავარი და ძვირფასი ის დიდი სიყვარულია, რომლითაც იგი საზოგადოებაში სარგებლობს, რომლის დასტურად მისადმი მიძღვნილი წიგნიდან მეგობართა და ახლობელთა გამონათქვამები მოვიშველიეთ: "კაცურკაცობის გენერალი", "ღირსეული მამულიშვილი", "სიკეთითა და ერთგულებით სავსე" და სხვა, რომელთაც თან დასდევს უფლისადმი თხოვნა: უმრავლოს საქართველოს დემურისთანა ვაჟკაცები, სიკეთით სავსე ადამიანები.

უღალატო, დასაყრდენი პიროვნება, ასეთია მისი ცხოვრების წესი.

"მეგობარი თუ გინდა, ის ასეთი უნდა იყოსო", _ ბრძანებს მასზე საზოგადოება "სტალინელის" თავმჯდომარე, ბატონი **გრიშა ონიანი**.

"საკმარისია გყავდეს ერთი მეგობარი, თუ ის დემურ მიქაძე იქნება". _ ბრძანებს აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**.

ბატონი **რობერტ სტურუა** კი მას "სამტრედიელთა სიამაყედ" მოიხსენიებს. უკეთესს ვერაფერს ვიტყვით.

ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ქალაქს დემურისთანა ერისშვილები.
ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს და
მუდამ ასე ლეწდე კალოს,
იცოცხლე და იდღეგრძელე
გენერლების გენერალო!

ბორის ფოცხვერაშვილი, ოთარ ასათიანი, რომან ჟიტკოვი, მიშა ჩაჩუა, რაულ ხუჭუა, გიზო ვეკუა, ცუცია ნიქაბაძე.

**ევროპაში გადარიეს,
გოგონები ლამაზი,
მართლა მაგრად
გვასახელეს,
დავითამ და რამაზიმ...**

თანამედროვეობის გამოჩენილ მხატვარ-კარიკატურისტს, ნიჭიერ შემოქმედს,

ბესიკ ღულაშვილს

ვულოცავთ 50 წლის შესრულებას. ვუსურვებთ, შემოქმედებით წარმატებებს და უფლის წყალობას!

პატივისცემით ბეჭან გოგია და ზეთა კაკავა



ვულოცავთ!

ქალბატონ ციალა კვანტალიანს!

ღვაწლმოსილ პედაგოგს, მრავალი თაობის აღმზრდელს, გულწრფელად დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს!

ვინც გიცნობთ, იცის თქვენი შემართება, აქტიურობა, ვერავინ დაიჯერებს 89 წელი რომ მოიტოვეთ უკან.

კვლავ დიდხანს, დიდხანს იცოცხლეთ თქვენი მონაგარისა და ახლობლების გასახარად.

პატივისცემით: ლევან გაბეჩავა

ნინელი შენგელია-კლდიაშვილს

დაბადების დღეს გილოცავთ ბიცოლა! სიხარული, ჯანმრთელობა და ბედნიერება შენს ოჯახს, შენთვის ახლობელ და საყვარელ ადამიანებს. ჭიშკრის ჭრიალზე კიდევ დიდხანს შემოგვგებებოდეს შენი გულწრფელი ღიმილი. შრომით და პატიოსნებით განვლილი ცხოვრების 60 წელი შენეული სიკეთით გაგეორმაგებიოს. ჩვენ კი, ადამიანებს შენს გარშემო, შეგვძლებოდეს ამ გულწრფელი ამაგის, შენეული მადლის ათასად ქცევა, სიყვარულად და ისეთივე იმედად უკან დაბრუნება, როგორც ჩვენთვის ხარ შენც და მთელი თქვენი ოჯახი.

პაპავები

დიდი ბოლქვაძეს!

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო მზრუნველო დედავ და ბებიავ! რთულია, სრულად გამოვხატოთ მადლიერება, რომელიც შენს მიერ დათესილი სიკეთის პასუხად გამოდგება. გარშემომყოფთათვის ყოველთვის სამაგალითო ხარ გამორჩეული თავმდაბლობით, მიმტევებლობით, მძიმე სიტუაციისას იმედის გამოძებნით, გამაგრებით, გულგრილობის შავი ძილქუშისას ფხიზლობით...

საუკეთესოს გისურვებთ სათნოსა და გულისხმიერს, საიუბილეო თარიღს მხოლოდ სულის სიმხნევე, ჯანის სიმრთელე მოეტანოს!..

ძველი ჩვეულება _ პირნათელობა, რომელიც მუდამ გამართულს დაგატარებს, დიდხანს ყოფილიყოს ჩვენი ყოველდღიურობისათვის ცხადი მაგალითი.

გვიყვარხარ და გვეიმედები!..

შენი დიდი ოჯახი

ქალბატონ დიდო ბოლქვაძე-რევიშვილს

თქვენი უსაყვარლესი შვილიშვილის შოთიკო პაპავას მეშვეობით შედგა ჩვენი ოჯახების ნაცნობობა. ძალზე ადრე ჩემი უფროსი კოლეგების, ანზორ გრიგოლიასა და სოსო ხაჟალიასაგან მსმენოდა თქვენი პროფესიონალიზმის, სათნოების, კაცთმოყვარეობის შესახებ.

განუზომელია წვლილი თქვენ და თქვენმა ღირსეულმა მეუღლემ, იმიერში ნაადრევად გარდასულმა, ბატონმა ვოვა რევიშვილმა რომ შეიტანეთ ლამის 150 წლის სამტრედიის ისტორიაში. სხვა თემაა თქვენი ღირსეული წინაპრების ღვაწლი და ამაგი.

სახელოვან იუბილეს გილოცავთ ღირსეულ ქალბატონს, სამაგალითო ოჯახის დიდ დიასახლისს.

იხარეთ!
იდღეგრძელეთ!
გმფარველობდეთ უფალი!

ულრიხი პატივისცემით: ლევან გაბეჩავა

ზურაბ სტურუას

დაბადების დღეს გილოცავ ჩემო დიდგულა და გულთბილო ზურიკო! საუკეთესო სურვილების ასრულება დაგაბედოს თმაში ფეხმომდგარმა და გულში ვერშეპარულმა ჭაღარამ. ჯანი, ბედნიერება, სიხარული არ მოგაკლოს არსთა გამრიგემ და დიდხანს, დიდხანს გამყოფოს შენი დიდი ოჯახის ბურჯად და იმედად. დაგელოცოს ყველა დღე, ამიერიდან გასალევი, სიყვარულად შეგრგებოდეს ყველა ჭიქა, ამიერიდან დასაცლელი, მტერი დაგლეოდეს და მოყვარე გაგმრავლებოდეს. მათი სიკეთის შემყურეს, წვრილშვილი ათასად გიქციოს უფალმა. მადლი და ლოცვა არ გამოლეოდეს შენს ბედნიერ ოჯახს!

თეა ბაბუნაშვილი

რედაქციის მისამართი:
საქართველო, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე
სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია

გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა